ჩვენი გაზეთი 100 წლისაა!

კემეროვო: „ბავშვებო, გვაპატიეთ!“ 5

რუსეთის სახელმწიფოს გამოუცხადებელი თვითმკვლელობების ქრონიკები

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოლო-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭოტებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 29 მარტი. 2018 წ. №64 (8465), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

200 გაქურდული ბინა – საბერძნეთში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

ვაი, სირცხვილო!

საბერძნეთში საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშეს და საბერძნეთის პოლიციის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად დაკავებულია ქართული დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი, – ამის შესახებ შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

„საბერძნეთში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეს და საბერძნეთის პოლიციის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად დაკავებულია ქართული დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი. ქართველი და ბერძენი სამართალდამცველების მიერ სამი თვის განმავლობაში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქალაქ ათენში საქართველოს 4 მოქალაქე: 1965 წელს დაბადებული ვ.ხ., 1983 წელს დაბადებული ბ.თ., 1978 წელს დაბადებული მ.ფ. და 1976 წელს დაბადებული ვ.ჯ. დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები გასაქურდ ბინებს წინასწარ არჩევდნენ, მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ მონაცემებს აღნიშნული ბინების შესახებ, შემდეგ კი ქურდავდნენ. დადგენილია, რომ დაკავებულებს საბერძნეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 200-მდე ბინა აქვთ გაქურდული.

სამართალდამცველებმა ოთხივე პირის საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ფული და მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებს დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდათ ერთ-ერთ ე.წ. „კანონიერ ქურდთან“, რომლისგანაც დავალებებს იღებდნენ და „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ.

დაკავებულებს ბრალი ედებათ საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე, 374-ე, 13-ე, 45-ე და 98-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებში, რაც ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ჩამოყალიბებას, ჯგუფურად მრავალგზის ქურდობას, ფულის გათეთრებას და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – განაცხადა ჭელიძემ.

ცეცხლში დამწვარი ბავშვები და „დოქსოპულო ნანატრის“ ბედნიერება 5

მხცოვან, გამოცდილ არქიტექტორებს ბავშვებივით თითი უქნიეს!

„სითი ინსტიტუტში“ არ გამორიცხავენ, რომ თბილისის მერიას სასამართლოში უჩივლონ. საქმე ეხება თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ირგვლივ გამოთქმულ ურთიერთბრალდებებს. „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ გენერალური დირექტორი მამუკა სალუქვაძე ამბობს, რომ თუკი მერია დოკუმენტს დაიწუნებს, მაშინ დავა სასამართლოში გადაინაცვლებს:

„ჩვენ მზად ვართ, პრეზენტაცია ვანახოთ და ამისთვის ვიწვევთ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მერიის წარმომადგენლებს. ძალიან კარგი იქნება თუ ბატონი კახაც მობრძანდება. დიდი სიამოვნებით ჩვენ ჩვენს პასუხებს შევთავაზებთ იმ კითხვებზე, რომელიც არის. თუ მიგვაჩნია, რომ მართლები ვართ და ესეც, ვფიქრობთ, მაშინ იქნება სასამართლო დავაც. ეს არ არის პოლიტიკური დოკუმენტი. ეს არავის პოლიტიკური დოკუმენტი არ არის. ეს არის ზეპარტიული დოკუმენტი და ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ეს სრულიად საჭირო არის ქალაქისთვის...

შეურაცხმყოფელი იყო ის, რაც ჩვენ დავინახეთ. პატარა ბავშვებივით რომ დასვეს ძალიან მხცოვანი და გამოცდილი არქიტექტორები და თითი უქნიეს,“ – განაცხადა „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა სალუქვაძემ.

სამშაბათის სამეგბა 10

მკვლელი პროფესიონალი იყო... ძალიან დიდი შიში მაქვს... 9

რა იცის შვილის მკვლელობიდან 50-ე დღეს დოდო გუგეშაშვილმა

აზარტულ თამაშებში ჩართული პირები საჯარო უწყებებში 8

ველარ იმუშავებენ!

ია საკანდელიძე

ჩუმი დიალოგი უფალთან

ლიბერასტ გიორგი გაბუნიას გამონათქვამის ფონზე 6 7

ვიზალიბერალიზაციის ერთი წელი

ერთი წელი გავიდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ამოქმედებიდან.

2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფალი გადაადგილება შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას. ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს 192,5 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა უვიზო რეჟიმით და 258,6-მა ათასჯერ იმოგზაურა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. უარი საზღვრის გადაკვეთაზე ეთქვა მხოლოდ 1001 ადამიანს.

2017 წლის 20 დეკემბერს ევროკომიის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით. საქართველო წარმატებით სარგებლობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციით, თუმცა, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი ამბობს, ამ პერიოდში თავი იჩინა ასევე გარკვეულმა გამოწვევებმა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა და ქართული წარმომავლობის კრიმინალების ოდენობაა.

„ამ საკითხებზე წუხილის ღიად გამოთქმის მიუხედავად, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხე არ არსებობს. ეს საკითხები არ განხილულა არც ევროკავშირის ინსტიტუტებში და არც კავშირის წევრ სახელმწიფოებში“, — განაცხადა ვახტანგ მახარობლიშვილმა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

„ევროპელმა პარტნიორებმა გვითხრეს, რომ ხშირად თავშესაფრის მიღების სურვილი ჯანმრთელობის პრობლემებთან არის დაკავშირებული, ანუ მოქალაქე აღნიშნავს, რომ თუ ის დაბრუნდება სამშობლოში, ვერ მიიღებს შესაბამის მკურნალობას. ევროპელ პარტნიორებს მივაწოდეთ შესაბამისი ინფორმაცია საქართველოში

- **2017 წელს ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 35 %-ით გაიზარდა.**
- **ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას საფრთხეს უქმნის საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში ჩადენილი დანაშაული.**
- **საქართველოს ევროკავშირის 17 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, 10 ქვეყანასთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება ხელშეკრულების გასაფორმებლად.**

არსებულ ჯანდაცვის სისტემასა და იმ პროგრამებზე, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს მოქალაქეებს“, — განაცხადა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძემ.

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, 2017 წელს ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 35 %-ით გაიზარდა და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე წელსაც.

„თავშესაფრების მაძიებელთა რაოდენობის ამგვარი ზრდა შეიძლება ჩაითვალოს პირველი ტალღის ეფექტად, ანალოგიური ვითარება იყო სხვა ქვეყნებშიც, რომელთა მოქალაქეებმაც ევროკავშირში უვიზოდ შესვლის უფლება მიიღეს. ეს ტენდენცია ნელ-ნელა დაიკლებს“, — განაცხადა ვახტანგ მახარობლიშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძის თქმით, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას საფრთხეს უქმნის საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში ჩადენილი დანაშაული, თუმცა ოფიციალური სტატისტიკა ამბობს, რომ დანაშაულის მაჩვენებელი არ გაზრდილა.

საქართველოს ევროკავშირის 17 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, 10 ქვეყანასთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება ხელშეკრულების გასაფორმებლად. ნინო ჯავახაძის თქმით, ეფექტიანი გამოდგა პოლიციის ატაშეების ინსტიტუტი. საქართველოს ევროკავშირის რვა ქვეყანაში ჰყავს პოლიციის ატაშე. ეს ქვეყნებია: ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი და შვედეთი.

„იმდენად ეფექტიანია პოლიციის ატაშეების მუშაობა, რომ გადავწყვიტეთ, ეს ქსელი კიდევ უფრო გავაფართოოთ. უახლოეს ხანში საქართველოს შს სამინისტროს ატაშე დაინიშნება ბელგიასა და ჩეხეთში. ჩეხეთის ატაშე გადაფარავს უნგრეთსა და სლოვაკეთს, შვედეთისა — დანიას, ნორვეგიასა და ფინეთს. ესპანეთიდან მოხდება პორტუგალიის, ხოლო საბერძნეთიდან კვიპროსის, ბულგარეთის, ალბანეთისა და სერბეთის დაფარვა“, — განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

რუსეთი ცდილობს, ისე წარმოადგინოს თავი, თითქოს კონფლიქტში არაფერი ესაქმება და ჩვეულებრივი მომრიგებელია!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით დონდუას განცხადებით, რუსეთი ცდილობს, ისე წარმოადგინოს თავი, თითქოს კონფლიქტში არაფერი ესაქმება და ჩვეულებრივი მომრიგებელია.

მისი თქმით, ფაქტი ის არის, რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით და იმ თანათავმდჯომარე ორგანიზაციებით, რომლებიც უძღვებიან მოლაპარაკებებს, აქ საკამათო არაფერი არ არის.

„რუსეთი ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ეს კონფლიქტი არის ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის. ეს არ არის რუსეთის რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა, ყველა კონფლიქტში, ყველა პრობლემაში, რუსეთი ცდილობს, თავი ასე წარმოადგინოს, მაგრამ ერთია, თვითონ შიგნით რას ამბობს. ფაქტი ის არის, რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით და იმ თანათავმდჯომარე ორგანიზაციებით, რომლებიც უძღვებიან მოლაპარაკებებს, აქ საკამათო არაფერი არ არის. რაც შეეხება ერთობლივ განცხადებას, ჩვენ ვცდილობთ, რომ მისი შინაარსი იყოს ზუსტად ისეთი, როგორიც აწყობს ქართველ მხარეს, სადაც იქნება გათვალისწინებული ყველა პრიორიტეტი, რომელიც ჩვენ გვაქვს დასახული და რის მიღებასაც ვლამობთ“, — განაცხადა დონდუამ.

„მთავარი თემა ორივე სამუშაო ჯგუფში იქნება არჩილ ტატუნაშვილის საქმე, რომელსაც ამ ეტაპზე სჭირდება სათანადო გამოძიება. არც ერთმა მხარემ ხელი არ უნდა შეუშალოს ამ გამოძიებას, რათა გამოვლინდეს, ვინ არიან დამნაშავეები და ეს დამნაშავეები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე. რაც არ უნდა დაადგინოს გამოძიებამ, ერთი რამ ცხადია, რომ ყველაფერზე, რაც მოხდა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვინც არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი, ეს არის რუსეთის ფედერაცია. რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ეს არ არის პირველი შემთხვევა, არამედ ამას უკვე რაღაც სახე მიეცა. 2014 წელს იყო ბაშარულის საქმე, შემდეგ ოთხოზორიას მკვლელობა და ახლა არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა. თუ ამას ყველაფერს პასუხი არ გაეცა, თუ დამნაშავეები არ წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, არის საფრთხე, რომ მომავალში ვერ ავიცილებთ თავიდან ასეთ ტრაგიკულ შემთხვევებს. ეს იქნება მთავარი თემა ორივე სამუშაო ჯგუფში“, — აღნიშნა დონდუამ, რომელმაც აქვე დასძინა, რომ შეხვედრაზე საუბარი იქნება აგრეთვე ძალის გამოუყენებლობის ერთობლივ განცხადებაზე.

ბორჯომელებმა ზაზა ჩაჩანიძე თანამდებობიდან გადააყენეს

19 მომხრე, 2 წინააღმდეგი — ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძე თანამდებობიდან გადააყენეს. კენჭისყრა ფარული იყო.

სხდომას თავად ჩაჩანიძე არ დასწრებია. სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს „ევროპული საქართველოს“, „ნაციონალური მოძრაობის“, „ლეიბორისტული პარტიის“ დეპუტატებმაც. ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარის მოავალეობას „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი გიორგი გოგიჩაიშვილი შეასრულებს. მისი კანდიდატურა განიხილება თავმჯდომარის პოსტზეც.

„პროცედურებს ორი-სამი დღე დასჭირდება. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს მერს, ასევე ფრაქციის თავმჯდომარეს ან საკრებულოს წევრთა 1/3-ს. განვიხილავთ 7 დღის ვადაში და ჩაინიშნება რიგგარეშე სხდომა და მოხდება ახალი თავმჯდომარის არჩევა. ერთ-ერთი კანდიდატურა თავმჯდომარის პოსტზე — ჩემი კანდიდატურაა. გადაწყვეტილება არ არის ჯერ მიღებული, ამას სჭირდება სიითი შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა, გვექნება კიდევ კონსულტაცია და მივიღებთ გადაწყვეტილებას. დღემდე მერიასა და საკრებულოს შორის ყველანაირი ხიდი იყო ჩატეხილი, არანაირი ურთიერთობა არ იყო. ჩვენ ვგრძნობთ პასუხიმგებლობას, რომ ვართ ბორჯომის ხელისუფლებაში, აქედან გამომდინარე, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ბორჯომი იყოს უკეთესი, ჩვენი მოსახლეობა ცხოვრობდეს უკეთესად და 4 წლის შემდეგ, იმ ხალხმა, ვინც ჩვენ ხმა მოგვცა, არ თქვან, რომ შეცდომა დაუშვეს“, — განაცხადა გიორგი გოგიჩაიშვილმა.

ნარკოპოლიტიკაზე მთავრობა ახალ საკანონმდებლო ინიციატივას გვთავაზობს

ნარკოტიკული ნივთიერებების დოზებისა და საპატიმრო სასჯელის შესახებ **მთავრობა პარლამენტს ახალ საკანონმდებლო ინიციატივას წარუდგენს.** ამის შესახებ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გუშინ უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი ინფორმაციით, კომისიამ ორი წინადადება განიხილა, რომელთაგან ერთ-ერთი მონიტორინგის სამსახურის ცენტრის შექმნას ეხებოდა, მეორე კი ფსიქოაქტიურ და ნარკოტიკულ ნივთიერებათა დოზების განსაზღვრას.

დეპუტატის თქმით, ახალი საკანონმდებლო ცვლილებები მთავრობას ეკუთვნის და მასზე მსჯელობა პარლამენტში ინიცირების შემდეგ დაიწყება. თუმცა პარალელურად, კონსულტაციები გაგრძელდება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის შესახებ მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტზეც. ნარკოტიკული ნივთიერებების დოზებსა და საპატიმრო სასჯელთან დაკავშირებულ ახალ ინიციატივას არასამთავრობოები არ ეთანხმებიან. 5 მარტს ნარკოპოლიტიკის შესახებ კანონპროექტის განხილვა ორი თვით გადავადდა.

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობები შეჩერდება!

განცხადება ამის შესახებ კახა კალაძემ ქალაქის მთავრობის სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ქაოტური მშენებლობები მიმდინარეობს, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის.

„საჭიროა, ქალაქმშენებლობა ხორციელდებოდეს იმგვარად, რომ არა მარტო კომფორტული იყოს ამ ქალაქში ცხოვრება, არამედ გაიზარდოს მისი ეკონომიკური ღირებულება და ტურისტული პოტენციალი; ასევე,დაცული იყოს ინვესტორის ინტერესი. ლისის ტბის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ ბუნებრივი მახასიათებლების გაქრობის საფრთხე დგას, რის გამოც ლისი, როგორც სარეკრეაციო სივრცე, არის მიმზიდველი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა არის ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიებზე ქაოტური განაშენიანების პროცესის შეჩერება და განვითარების სწორ კალაპოტში მოქცევა,“ — განაცხადა კახა კალაძემ.

ცინიზმი თავიანთ სამსახურებში გამოიყენონ!

„სითი ინსტიტუტისგან“ მივიღეთ ცინიკური დამოკიდებულება და შეურაცხყოფა, ეს დამოკიდებულება თავიანთ სამსახურებში გამოიყენონ — ეს განცხადება თბილისის მერმა „სითი ინსტიტუტის“ მიერ წარდგენილი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის ხარვეზებზე საუბრისას გააკეთა. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში გადაწყდება, გენერალური გეგმის პროექტზე მუშაობა მათთან ერთად გაგრძელდება თუ არა.

„გუშინ გვინდოდა მათი მხრიდანაც პასუხი მოგვესმინა, თუმცა მივიღეთ ცინიკური დამოკიდებულება, შეურაცხყოფის მიყენება კონკრეტულად ილია ელოშვილისა და იქ წარმოდგენილი ახალგაზრდების მიმართ, რაც კატეგორიულად მიუღებელია. ეს დამოკიდებულება გამოიყენონ თავიანთ სამსახურებში. ჩვენ არ მივცემთ არავის საშუალებას, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეურაცხყოფა მიაყენონ მერიის თანამშრომლებს. ეს არ არის კონსტრუქციული დამოკიდებულება.

მომართული ვართ იქითკენ, რომ დოკუმენტი შევიმუშაოთ. როგორ და ვისთან ერთად, ამ გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მოგაწვდით“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში დიდი კონკურსია!

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში უახლოეს მომავალში, კონკურსი 80 ვაკანსიაზე გამოცხადდება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესასრულებლად, ადამიანური რესურსია საჭირო. კახა კალაძე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებს კონკურსში მონაწილეობისკენ მოუწოდებს.

„ყველას, ვისაც სურვილი აქვს, რომ ქალაქის განვითარებასა და მოწესრიგებაში ჩაერთოს, პროფესიონალებს, ვისაც შესაბამისი კვალიფიკაცია გაქვთ, მიიღეთ კონკურსებში მონაწილეობა, რომელიც გამოცხადდება. ერთად ვიზრუნოთ ქალაქის განვითარებასა და ერთად მოვაგვაროთ ის პრობლემები, რომლებიც დღეს ქალაქისთვის აქტუალურია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

კალაქესა და დისტრიბუტორებს შორის ღამე ჩამოდგა!

სადისტრიბუციო მანქანების ღამეული მუშაობის შესახებ გადაწყვეტილება სადაცაა ძალაში უნდა შევიდეს, მაგრამ კამათი და პოლემიკა ამასთან დაკავშირებით პიკს სწორედ ახლა აღწევს. ბიზნესი დედაქალაქის მერის ინიციატივას ეწინააღმდეგება, ხოლო კახა კალაძეს ბიზნესის შეხედულება ღამის დისტრიბუციასთან დაკავშირებით არ აღელვებს. მისი თქმით, თუკი საჭიროება გაჩნდება, სავაჭრო ობიექტებმა კეთილი უნდა ინებონ და ხალხი დაამატონ.

„ჩვენ ყველა ვსაუბრობთ პრობლემებზე, რომ არის საცობები, არის ეკოლოგიური პრობლემა და შეუძლებელია ქალაქში გადაადგილება. როცა ვიწყებთ საკითხის გადაჭრას და კონკრეტული პროექტის განხორციელებას, ჩნდება კიდევ სხვა პრობლემა. როცა კონკრეტულ ბიზნესს, კონკრეტულ ადამიანს ეხება საქმე, მაშინვე იწყება საუბარი, რომ შეუძლებელია ამის განხორციელება. ასე ჩვენ ვერ განვვითარდებით, წინ ვერ წავალთ.

ვიცით, რომ არსებობს პრობლემა და ამ პრობლემის მოგვარებას სჭირდება რეგულაციების განხორციელება, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ. ანალოგიური მიდგომა გვქონდა „თბილსერვის ჯგუფთან“ ნარჩენების გატანის თვალსაზრისით. მათ აქვთ ვალდებულება, ღამის საათებში იმუშაონ.

იგივეა სადისტრიბუციო მანქანებთან დაკავშირებითაც. არა მგონია, ეს რამე პრობლემას წარმოადგენდეს. ხალხია დასამატებელი? კეთილი ინებონ, დაამატონ. აქ საუბარია ქალაქის კეთილდღეობაზე, ადამიანების კომფორტზე. საცობები და შეფერხება რომ ავიცილოთ, ეს რეგულაცია ერთ-ერთი კომპონენტია“, — განაცხადა კალაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობაც მხარს უჭერს დედაქალაქის მერის ინიციატივას. დეპუტატი ბექა ოდიშარია ამბობს, რომ ხელისუფლება უფრთხილდება ბიზნესს, მაგრამ ამ შემთხვევაში რეგულაცია აუცილებელია.

„გვესმის რა მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან ისინი, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ისინი (სადისტრიბუციო მანქანები) სხვებთან ერთად ქმნიან საცობებს დღის საათებში და განსაკუთრებით, პატარა ქუჩებზე.

საცობში დგომა კი შემდეგ მათაც უწევთ. ეს მათი საქმიანობის თვითღირებულებას ზრდის და დროში მათივე ბიზნესის წარმოებას აფერხებს.

ხშირად მცირე ქუჩებზე ასეთი გაუთვალისწინებელი სიტუაციები ადამიანებს შორის კონფლიქტების საბაბს ქმნის. ამიტომ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ქალაქში წესრიგის დამყარებაზე და ზოგ შემთხვევაში, როდესაც რეგულაციები ჩვენც გვეხება, არა შეზღუდვად და შეფერხებად, არამედ დედაქალაქის საერთო კეთილდღეობის საქმეში ჩვენს კონტრიბუციად უნდა აღვიქვათ“, — განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულებას არ იზიარებენ ისინი, ვისაც ახალი რეგულაცია უშუალოდ ეხება. დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ივა ჭყონია** ვარაუდობს, რომ ამით საბოლოოდ კომპანიები დაზარალდებიან.

„ხარჯების გაზრდა სადისტრიბუციო კომპანიებისთვის, რასაც ეს ცვლილება გამოიწვევს, მეათეხარისხოვანია იმ პრობლემასთან შედარებით, რის წინაშეც შესაძლოა, დადგნენ მცირე და საშუალო სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ათასობითაა. როდესაც მაღაზიები გადახდისუუნარონი გახდებიან და დაიხურებიან, ისინი გაიყოლებენ სადისტრიბუციო კომპანიების დავალიანებებს.

როდესაც სავაჭრო ობიექტები იკეტება, სადისტრიბუციო კომპანიებს ამ თანხების ამოღების არანაირი შანსი აღარ აქვთ, რადგან სავაჭრო ობიექტების უმრავლესობა არის შპს და არანაირი ვალდებულება არ გააჩნია და მოგებული პროცესიც კი, სადისტრიბუციო კომპანიებისთვის მხოლოდ დახარჯული ფულია.

მერიის შემოთავაზებული ცვლილების განხორციელება მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც მთავრობა მოაგვარებს სადისტრიბუციო კომპანიების წინაშე დღეს არსებულ სერიოზულ პრობლემებს, რასაც ისინი სავაჭრო ობიექტებიდან კუთვნილი თანხების ამოღებისას აწყდებიან“, — განაცხადა ივა ჭყონიამ.

იგი არ გამორიცხავს, რომ წვრილი სავაჭრო ობიექტების ნაწილი დაიხუროს კიდეც, თუკი დისტრიბუციის ავტომანქანებს ღამის საათებში მოძრაობა აეკრძალებათ.

ბექა დანელია

იციკ მოშე: ისრაელში მაღალი დონის ქართული კულტურა წარმოჩინდება!

„ისრაელის სახლის“ ინიციატივით, საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი ისრაელის ქნესეთის დელეგაცია თბილისში შეხვედრებს მართავს. გუშინ დელეგაცია, რომელსაც ქნესეთის ვიცე-სპიკერი, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ხილიკ ბარი მეთაურობს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს, დავით ლორთქიფანიძეს შეხვდა. საუბარი შეეხო ისრაელის მუზეუმებთან ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობის პერსპექტივებს, აგრეთვე, „ისრაელის სახლის“ ინიციატივებს, რომელიც ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, იერუსალიმის მუზეუმში ქართული ღვინის გამოფენის ჩატარებას ითვალისწინებს.

დელეგაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ისრაელის სახლისა“ და სარას ფონდის ინიციატივით გახსნილ ებრაულ ბიბლიოთეკასაც ეწვია. „ისრაელის სახლის“ ინიციატივით, დაგეგმილია, აგრეთვე, ისრაელში ქართული ბიბლიოთეკის გახსნაც.

„ისრაელის სახლის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის იციკ მოშეს განცხადებით, ისრაელის დელეგაციამ ამ ვიზიტისას ყურადღება გაამახვილა კულტურული ურთიერთობების საკითხზეც. „ისრაელში მაღალი ქართული კულტურის წარმოჩენა და ქართველი საზოგადოებისთვის, ასევე, მაღალი დონის ისრაელური კულტურის გაცნობა შექმნის ახალ ხიდს ორმხრივ კავშირებში. ჩვენი ინიციატივები სწორედ ამას ემსახურება“, — აცხადებს იციკ მოშე.

ინვესტორმა 45 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ფრანგული კომპანია „ატლანტიკ ჯგუფის“ ევროპული სტანდარტების ელექტროგამაცხელებლების ქარხანა ოფიციალურად გახსნა.

საწარმოში უკვე დამონტაჟებულია ყველა დანადგარი და გეგმიურად დღეში 500-მდე ელექტროგამაცხელებელი იწარმოება, რომელიც კვირაში ორჯერ ექსპორტზე გადის, მათ შორის, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ეს არის კიდევ ერთი კარგი მაგალითი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის.

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. დღევანდელი მდგომარეობით, თიზ-ში ხდება სხვადასხვა სახის საექსპორტო პროდუქციის, მათ შორის ტექსტილის, სახურავების, ნათურების, ზეთების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოება. ამ დროისთვის ასევე მიმდინარეობს მაკარონის ქარხნის მშენებლობაც, რომელიც მალე დასრულდება. მთლიანად ქუთაისის თიზ-ში ინვესტირებულია 100 მილიონ დოლარზე მეტი, ხოლო კონტრაქტით დასაქმებულია 370 ადამიანი.



რა ზიანს მოუტანს პანკისის ხეობას კიდევ ერთი ახალი ჰესი?!

პანკისის ხეობაში მესამე ჰიდროელექტროსადგურის, 5.4 მგვტ/სთ დადგმული სიმძლავრის „ხადორი 3“-ის მშენებლობის შესახებ პანკისელების დიდმა ნაწილმა მას შემდეგ შეიტყო, რაც სატვირთო მანქანებმა ობიექტისკენ სამშენებლო მასალების გადაზიდვა დაიწყეს. ჰიდროელექტროსადგურ „ხადორი 3“-ს კომპანია „ალაზანი ენერჯი“ აშენებს. ეს კომპანია იმ გუნდიდან არის, რომლის სათვალავზეც მოდის პანკისის ხეობაში უკვე აშენებული თუ სხვა არაერთი ჰესი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის — „დარიალი ჰესი“, „ყაზბეგი ჰესი“ თუ „ლარსი ჰესი“.

Pankisi Community Radio (Courtesy Photo)

პანკისელები წუხან იმის გამოც, რომ მდინარე ალაზანში წყლის შემცირება მოსპობს მწვანე საფარს მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე და დღის წესრიგში დადგება საძოვრების პრობლემა...

ადგილობრივები შეშფოთებული არიან იმ ფაქტით, რომ ჰესის განთავსება დაგეგმილია სოფელ ბირკიანში, დასახლებული ზონიდან რამდენიმე ათეულ მეტრში. ამასთან, კილომეტრების მანძილზე მილსადენებში უნდა მოექცეს მდინარე ალაზანი.

სწორედ წყალს უკავშირდება პანკისელების უმთავრესი შეშფოთებაც. ისინი ფიქრობენ, რომ მდინარე ალაზანში წყლის შემცირება კიდევ უფრო გააუარესებს ხეობის სოფლებში სასმელი წყლის ისედაც მწვავედ მდგარ პრობლემას და პრობლემა შეიქმნება სარწყავ წყალთან დაკავშირებითაც.

ხადორის ხეობა დამსვენებლებისთვის ყველაზე მიმზიდველ ზონად მიიჩნევა და პანკისელები ფიქრობენ, რომ ახალი ჰესის მშენებლობის შედეგად ხელი შეეშლება ტურიზმსაც.

პანკისის ხეობისთვის „ხადორი 3“ უკვე მესამე ჰიდროელექტროსადგურია. შესაბამისად, ხეობის მოსახლეობა იმ იმედგაცრუებაზე ლაპარაკობს, რომელიც მათ წარსულის გამოცდილებამ მოუტანა. პანკისელები ამბობენ, რომ ჰესების მუშაობა გარემოს მკვეთრად უარყოფითად დაეტყო და, ამასთან, იყო შემთხვევა, როდესაც უცბად მოვარდნილმა წყალმა ხეობის მკვიდრი მამაკაცი დაახრჩო. აქაურები ლაპარაკობენ ასევე მდინარეში ბანაობისას მოწამლულ ბავშვზე, რომლის ორგანიზმშიც სამედიცინო შემოწმებისას ნავთობპროდუქტების კვალი იქნა აღმოჩენილი.

პანკისის ხეობის მოსახლეობამ სოფელ ბირკიანში გასულ კვირას ორი საპროტესტო აქცია გამართა.

რა წერია „ხადორი 3“-ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში?

ანგარიშში, რომელიც „გამა კონსალტინგის“ მიერ არის მომზადებული, ვკითხულობთ, რომ „ხადორი 3“ ჰესის ძალური კვანძის განთავსება დაგეგმილია მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ბირკიანის აღმოსავლეთით“, და „უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაცილების მინიმალური მანძილი იქნება, დაახლოებით, 100 მ“.

ანგარიშში, მაგალითად, ასევე ნათქვამია:

● „ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების პარალელურ რეჟიმში შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია, ადგილი ექნეს მდინარის წყლის ხარისხის გაუარესებას და ამასთან დაკავშირებულ წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიურ კუმულაციურ ზემოქმედებას“.

● „საპროექტო ჰესების ოპერირების ფაზაზე კუმულაციური ზემოქმედება შეიძლება, დაკავშირებული იყოს მდინარეების წყლის ხარისხის გაუარესებასთან. ჰესების ოპერირების ფაზაზე წყლის გარემოს დაბინძურება, როგორც წესი, დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან ან საწვავისა და ზეთების შენახვა/გამოყენების წესების დარღვევასთან. შესაბამისად, ამ ზემოქმედების მინიმიზაცია შესაძლებელია სწორი გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და მონიტორინგის პირობებში“.

● **„განსაკუთრებით აღსანიშნავია წყლის ბიოლოგიურ გარემოზე და წყალთან დაკავშირებულ სახეობებზე ზემოქმედების რისკები, კერძოდ: მდინარეში წყლის დონის შემცირება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს იქთიოფაუნაზე, რაც ასევე ნეგატიურად აისახება წავის საარსებო გარემოზე. ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით აუცილებელია ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლი და ამ ღონისძიებების ეფექტურობის მონიტორინგი, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დამატებითი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება“.**

რას პასუხობს პანკისელებს კომპანია „ხადორი 3“-ის მშენებელი „ალაზანი ენერჯი“ ?

25 მარტს სოფელ ბირკიანში ჩატარებულ საპროტესტო აქციას ჰესის მშენებელი კომპანია „ალაზანი ენერჯის“ ხელმძღვანელი ლაშა იორდანიშვილიც ესწრებოდა. ის ცდილობდა, მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ დაგეგმილი არამასშტაბური ჰესი არავითარ ზიანს არ მოუტანს ხეობას და თუ ვინმეს დარწმუნება სჭირდება, მზად არის თავად მის თვალწინ დალიოს ჰესიდან გამოსული წყალი. კვირას ლაშა იორდანიშვილი ადგილობრივთა მწვავე შეკითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდა და მათ დაპირებებსაც აძლევდა.

* * *

საქართველოში იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება და, ცხადია, საჭიროა მიწოდების ზრდაც. ამასთან, რაც უფრო მეტია გამომუშავებული ელექტროენერგია, ეს მის გაძვირებას უშლის ხელს...

ზვიად ხორგუაშვილი:

„ომალოში წყალი არ არის? მივიყვანოთ... ბალახი გახმება? ორი იმდენი ბალახი ვიყიდოთ... სასმელი წყალი ერთ ოჯახსაც რომ დააკლდეს და ჭაში წყალი შეუმცირდეს, ყველას სახლამდე მივუზიდავთ იმ წყლებს... თქვით, რა სჭირდება პანკისის ხეობის სოფლებს, ჩვენ დაგეხმარებით ყველაფერში“, — ეუბნებოდა ლაშა იორდანიშვილი პანკისელებს, თუმცა აუდიტორია მის სიტყვებს აშკარად სკეპტიკურად შეხვდა.

იორდანიშვილის თქმით, „თუკი მდინარე ალაზანში წყლის დონე დაიკლებს, ჰესის სიმძლავრეს 5 მგვტ-დან 4 ან 3 მგვტ-მდე ჩამოიყვანენ, თუმცა მას აღარ დაუკონკრეტებია, ასეთ შემთხვევაში რამდენად გამართლებული იქნება ობიექტის მშენებლობაში ჩადებული დიდი ინვესტიცია.

პანკისელები „ალაზანი ენერჯის“ დაგვიანებულ კომუნიკაციაშიც ადანაშაულებენ. ისინი მიუღებლად თვლიან, რომ ახალი ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ხეობაში სახალხო განხილვა არ გამართულა, ხოლო ახმეტაში გამართული შეხვედრის შესახებ ხეობელებისგან ბევრმა, უბრალოდ, არაფერი იცოდა.

რაში ხედავენ გარემოსდამცველები შეშფოთების საფუძველს?

„ხადორი 3“-ის შემთხვევაშიც გარემოსდამცველები რეალური შეშფოთების საფუძველს ხედავენ. როგორც „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელმა დათო ჭიპაშვილმა უთხრა რადიო „თავისუფლებას“, ჯერ ერთი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში პრაქტიკულად არასანდო დოკუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან იქ ბევრი რამ ვარაუდებზეა დამყარებული. ამასთან, ანგარიშში პრაქტიკულად უგულებელყოფილია პანკისის ხეობის სოფლების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა და ის ფაქტი, რომ ეს სოფლები ძირითადად მდინარე ალაზნის წყალზე არიან დამოკიდებული.

თითქმის ყოველთვის, პროცესი არის ბუნდოვანი და ძალიან რთულია სრული ინფორმაციის მოძიება, თუ როგორ მოხდა, ვთქვათ, მშენებლობის ნებართვის მოპოვება და როგორ მოხდა ინვესტიციების მასშტაბების განსაზღვრა...

ზვიად ხორგუაშვილი:

„ამასთან, ანგარიშის მიხედვით ვიგებთ, რომ, ჰესის მომსახურე პერსონალის დაუდევრობის შედეგად, შესაძლებელია, მდინარის წყალი ისე დაბინძურდეს, რომ ხეობის მოსახლეობა სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი პერსონალის კეთილსინდისიერებას უნდა მივანდოთ?!“

დათო ჭიპაშვილის თქმით, კილომეტრების მანძილზე მდინარე ალაზნის 90 %-ის მილსადენში მოქცევა კალაპოტში წყლის დონეს ძალიან მნიშვნელოვნად შეამცირებს და, პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ მდინარის იმ ნაწილში, რომელზეც ხალხს ექნება წვდომა, წყალი აღარ იქნება.

ეს პრობლემა საფრთხეს შეუქმნის მდინარის ეკოსისტემას, სადაც მხოლოდ თევზები არ მოიაზრება. აქ იგულისხმება, მაგალითად, ჭალის ტყეები და მიწისქვეშა წყლების დონეც.

რას ფიქრობენ ეკონომისტები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესზე?

ეკონომისტები, გარემოსდამცველებისგან განსხვავებით, ძირითადად ყოველთვის მიესალმებიან ნებისმიერ მშენებლობას. **„საქართველოში იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება და, ცხადია, საჭიროა მიწოდების ზრდაც. ამასთან, რაც უფრო მეტია გამომუშავებული ელექტროენერგია, ეს მის გაძვირებას უშლის ხელს. ამავე დროს, აუცილებელია სახელმწიფოს ენერგოდამოუკიდებლობა, მით უმეტეს, გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით და, შესაბამისად, ჰესების მშენებლობაც საჭიროა“,** - უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ზვიად ხორგუაშვილმა.

თუმცა, მისი თქმით, პრობლემის უფრო დიდ ნაწილსა და, შესაბამისად, მოსახლეობის პროტესტს, როგორც წესი, გაუმჭვირვალე პროცესები წარმოშობს:

„თითქმის ყოველთვის, პროცესი არის ბუნდოვანი და ძალიან რთულია სრული ინფორმაციის მოძიება, თუ როგორ მოხდა, ვთქვათ, მშენებლობის ნებართვის მოპოვება და როგორ მოხდა ინვესტიციების მასშტაბების განსაზღვრა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ, ხშირ შემთხვევაში, განხილვები არ არის საჯარო და ძალიან ვიწრო წრეში წყდება მნიშვნელოვანი საკითხები. როცა მჭირდება, მეც ძალიან მიჭირს სანდო ინფორმაციის მოძიება“.

ლელა კუნჭულია

ივანიშვილის ხეების შესყიდვა-გადაბანა კანონიერია თუ არა?!

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ ხეების გადატანისა და ამის გამო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლას იწყებს საია. შესწავლის პერიოდი ბოლო სამი წელია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ მათი კვლევის მიზანია დადგინდეს, რამდენად არის დაცული კანონი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ხეებს გადატანისას.

„ჩვენი მიზანია, ვნახოთ, ჩვეულებრივი მოქალაქე ან კომპანია, არის თუ არა იგივე თანაბარ პირობებში, როგორც შეიძლება იყოს ყოფილ პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებული კომპანია. თუკი ადმინისტრაციული ორგანოები არ მოგვაწვდიან ინფორმაციას, თითოეულ მათგანთან მიმართებაში მოვამზადებთ სასარჩელო განცხადებებს,“ — განაცხადა ორგანიზაციის თავმჯდომარემ სულხან სალაძემ.

ბათუმის ბულვარში ხე-მცენარეების შენამვლა მიმდინარეობს

ბათუმის ბულვარის მთლიან პერიმეტრზე მავნებელ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ქიმიური წამლობა დაიწყო.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ფუნგიციდის, ინსეკტიციდებისა და ზეთოვანი ემულსიის გამოყენებით, 35 ათას ძირამდე სხვადასხვა ჯიშის მრავალწლოვანი და ბუჩქოვანი ხე-მცენარე, ძველი, ასევე ახალი ბულვარის ტერიტორიაზე ეტაპობრივად შეიწამლება.

ბულვარის ადმინისტრაცია სანიტარიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებას წელიწადში ოთხჯერ ახორციელებს. აღნიშნული სამუშაოები ბათუმის ბულვარში სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ქიმიური წამლობა სრულიად უსაფრთხო, არატოქსიკურია და მოსახლეობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ცეცხლში დამწვარი ბავშვები და „დოქსოპულო ნანატრის“ ბედნიერება

...ᲕᲘᲜᲛᲔ ე.წ. „ნანატრი“, ბუნებით, ეტყობა, აშკარა ქვეწარმავალი თუ რაღაც სხვა უბედურება, საბედნიეროდ, მეგობრებში არა მყავს. მაგრამ მის „ფრენდ-ლისტში“ 48 საერთო მეგობარი აღმომაჩნდა. ერთობ სამწუხაროდ!!!

მესმის, რომ მისი უფლებაა, სძულდეს ოკუპანტი რუსეთი, ზოგადად, რუსები, რუსის ბავშვებიც კი და ამ გასაგები პოზიციის გამო არავინ შეედავება... ვერაფერს იტყვი მაშინაც, როცა ის იყენებს თავის უფლებას, გაიხაროს, ცეცხლში როგორ იწვებიან უდანაშაულო ბავშვები... თავი უნდა შევიკავოთ მაშინაც, როცა სარგებლობს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით... დაწყევლოს ყველა ის ადამიანი, ვისაც ეტკინა და თავზარი დასცა ათობით ნორჩი სიცოცხლის დანახშირებამ... თურმე, გაგებით უნდა მოვეკიდოთ მის უფლებას, როცა უტიფრად გვისურვებს ჩვენ, ჩვენ შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს ცეცხლის ალში ამობუგვას იმ უბედური და უმანკო ბავშვების მსგავსად ...

სამწუხარო რეალობაა: დემოკრატიას და სიტყვის (გამოხატვის) თავისუფლებას თუ პატივს სცემ, ესეც უნდა წაიკითხო და... „გადაყლაპო“?

არა, ვერ „გადავყლაპავთ“. და ჩვენც გამოვიყენებთ ჩვენსავე კონსტიტუციურ უფლებას, რომ ასეთ ტიპაჟს მისი საქციელის ადეკვატური სახელი ვუწოდოთ (თუნდაც, ხატოვნად) და კილომეტრზე არ გავიკაროთ, მით უმეტეს ამ უახლოეს ფბ-სამეგობრო სივრცეში.

ᲓᲘᲐᲮ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲐ, ᲐᲡᲔᲗ ᲣᲡᲘᲡᲮᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲠᲪᲮᲕ ᲢᲘ�პᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲕᲣᲗᲮᲠᲐᲗ, ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ, ᲖᲣᲠᲒᲘ ᲨᲔᲕᲐᲫᲘᲝᲗ, ᲛᲝᲕᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲓᲐᲜ...

ამ უფლებას ვერავინ წაგვართმევს, ვერც რომელიმე სტრუქტურა, ვერც შიში ნანატრ-უნატრებლის წყევლისა და ვერც ვარაუდი — მუქარით რომ აიკლებენ ფბ-სივრცეს ჩვენი ლანძღვა-გინებით და გაგვიმწარებენ ცხოვრებას. თავ-პირიც უმტვრევიათ. ვინც შეუშინებიათ ის შეაშინონ. შეჩვეული ვართ: რას იზამ, ესეც დემოკრატიაა, ისევ და ისევ გამოხატვის თავისუფლებაა...

მესმის, ბევრი თქვენგანი მის ე.წ. „ფრენდ-ლისტში“ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდით, უნებლიეთ, ლამის ავტომატურად. მაგრამ, ასეა თუ ისე, ლაქა მოეცხო ჩვენს დიდ ფბ-სამეგობროს, პრაქტიკულად საზოგადოების უმრავლესობას. ამ შუბლის ძარღვგაწყვეტილობამ შეურაცხყო ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანური ღირებულებები. აშკარად სულში ჩაგვაფურთხეს...

ჩემო დღემდე ძვირფასო ფბ-მეგობრებო! სრულიად ლეგიტიმური იქნება თქვენდამი დასმული შეკითხვა: ამ უსისხლო და უხორცო ტიპთან გაქვთ კი რაიმე საერთო ფასეულობა?

საკმაოდ კარგად ვიცნობ უმრავლესობას ჩემი „ფრენდ-ლისტიდან“ და სავარაუდო პასუხის ამოცნობისთვის დიდი ტვინის ჭყლეტა არ დამჭირდება.

ჰოდა, თუ არაფერი გაკავშირებთ, იგი და მისნაირები უნდა გავაძევოთ ჩვენი ფეისბუქ-საახლობლოდან, მხოლოდ ჩვენი „ფრენდ-ლისტიდან“, თორემ, ამ დუნიაზე, სადაც უნდა და როგორც უნდა, ისე იცხოვროს, რაც მოეპრიანება, ის თქვას, ვინც უნდა ის დაწყევლოს...

ყოველ შემთხვევაში,„ნანატრის“ მსგავს თუ მის არაერთ მხარდამჭერთან, ანუ ფბ-სივრცეში მასთან რაიმე კავშირში მყოფ ადამიანებთან, პირადად მე ვერ ვიკონტაქტებ. და თუ ზნეობრივი ცხოვრების გაგრძელებას „ნანატრისთან“ ერთად რომელიმე ჩემი ფბ-მეგობარი დაიპირებთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. მე კი იძულებული ვიქნები. „ნანატრისთან“ ურთიერთობის მონატრებულ-დახარბებულ „ფბ -მეგობრებს“ ტკივილნარევად დაგშორდეთ.

ᲬᲣᲮᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ

აღიარებული ფასეულობები და პრინციპები აბსოლუტურად შეუთავსებელია ნამეტნავ ურა-პატრიოტიზმთან, პრიმიტივიზმთან, მამალ ქაჯობასა და ბოროტ სულთან.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ.

P. S. ᲔᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ-ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲔᲮᲔᲑᲐ „ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘᲡ“ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲡ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲓᲔᲓᲠ ᲚᲐᲒᲕᲘᲚᲐᲕᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲗᲣ „ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲨᲘ“ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲕᲔᲜᲓᲝᲑᲘᲗ, �თᲣᲠᲛᲔ ᲛᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲘᲐᲠᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ (ᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ)...

ᲢᲐᲨᲘ, ᲙᲣᲙᲣᲠᲘ!

„ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ, ᲒᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲗ!“

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲕᲘᲜ და როგორ დაუშვა სავაჭრო-გასართობი კომპლექსის განთავსება ყოფილი საკონდიტრო ფაბრიკის ძველ შენობაში? ვინ და რატომ დანიშნა შენობის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად მზარეული? რატომ იყო ჩარაზული ხანძრის დროს ყველა სათადარიგო გასასვლელი და კინოდარბაზების კარები? რატომ არ იმუშავა სახანძრო სიგნალიზაციამ? ვინ და რატომ გამორთო შეტყობინების სისტემა? რატომ არ იმოქმედა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა სისტემამ? რატომ არ დაგეგმილა და განხორციელებულა ევაკუაცია? რატომ დაიწყო სახელისუფლებო ტელემედიამ ტრაგედიის გაშექება მხოლოდ მეორე დილით? რატომ არ შეუცვლია სამუშაო განრიგი პრეზიდენტ პუტინს? რატომ ვერ უსამძიმრებდა გუბერნატორი ტულეევი დაღუპულთა ახლობლებს უესკორტოდ? რატომ შეადგენს დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ოფიციალურ და არაოფიციალურ მონაცემებს შორის სხვაობა რამდენიმე ასეულს? რატომ არ უშვებენ ოჯახის წევრებს დაღუპულთა ცხედრებთან გაუთქმელობის ხელწერილის გარეშე? რატომ არ ცხადდებოდა გლოვა მთელი რუსეთის მასშტაბით? რატომ „მიუქსიეს“ შვილმკვდარ მშობლებს „ომონი“? — ამ და სხვა უამრავი კითხვით კემეროვოს მოსახლეობა და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ციმბირის ამ პატარა ქალაქში ჩასული აღშფოთებული მოქალაქეები აქციას მართავენ. სავაჭრო-გასართობი ცენტრი „ზამთრის ალუბალი“ ალაგ-ალაგ ამ დრომდე იწვის. მორგებში კი ცხედრების ამოცნობა გრძელდება.

* * *

ᲑᲝᲚᲝ ოფიციალური ინფორმაციით, 25 მარტის ხანძრის შედეგად კემეროვოს სავაჭრო-გასართობ ცენტრ „ზამთრის ალუბლის“ შენობაში 64 ადამიანი დაიღუპა და კიდევ რამდენიმე ათეული დაშავდა. ამ დრომდე დაკარგულად ითვლება კიდევ 6 ათეულზე მეტი მოქალაქე. როგორც დაღუპულთა, ისე დაკარგულთა უმეტესობა ბავშვია.

ბრიფინგზე გამოცხადდა, რომ ამოცნობილია 23 დაღუპული, მათი ცხედრების იდენტიფიცირება გარეგანი დათვალიერებით მოხერხდა. დანარჩენთა იდენტიფიცირებისთვის კი უკვე დნმ-ის ანალიზების ჩატარებაა დაწყებული.

პარალელურად ინტერნეტ-სივრცეში განუწყვეტლივ ვრცელდება სულ სხვა მონაცემები: თვითმხილველებზე, სამედიცინო სამსახურების, მორგების, საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლებზე დაყრდნობით იუწყებიან, სულ მცირე, 400-დან 500-მდე დაღუპულის შესახებ.

ამასთან, სხვადასხვა წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახლობლებს გვამებთან არ უშვებენ, თუ გაუთქმელობის შესახებ შეთანხმებებს არ მოაწერენ ხელს.

ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?

ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲗᲐᲜ დაკავშირებით რამდენიმე ადამიანი დაიკითხა, თუმცა დაკავებული ამ დროისთვის მხოლოდ ერთია — უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, რომელმაც ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით სახანძრო სიგნალიზაცია გამორთო.

დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს სავაჭრო-გასართობი ცენტრის ის თანამშრომლები, რომლებმაც კინოდარბაზების კარები სეანსის დაწყების შემდეგ ჩაკეტეს და სადღაც გაუჩინარდნენ... ამიტომაც გაიგუდნენ და ჩაიწვნენ ბავშვები კინოდარბაზებში ცოცხლად...

დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს პედაგოგი და ორი მშობელიც, რომლებმაც ბავშვები კინოდარბაზში დააბინავეს, თავად კი შენობის სხვა სართულზე ჩავიდნენ „საშოპინგოდ“... ახლა სამივე მორგშია გვამების ამოცნობაზე.

ჯერჯერობით არაფერი ისმის სახანძრო სამსახურის თანამშრომლების არასათანადო მუშაობაზე პასუხისმგებელ პირებზე. არადა, როგორც არაერთი თვითმხილველი ირწმუნება, მეხანძრეები ადგილზეც გვიან გამოცხადდნენ და შემდეგაც საშუალოდ 3-5 წუთს ხარჯავდნენ ჯერ მარტო ნიღბების მორგებაზე, ხოლო უკვე შენობაში შესულები, კარგა ხანს სრულ დაბნეულობაში, ყოველგვარი სამოქმედო გეგმის გარეშე აქეთ-იქით დარბოდნენ.

დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს ქალბატონიც, რომელიც თავიდან შენობის მეპატრონედ სახელდებოდა, თუმცა, როგორც ირკვევა, რეალურად, მხოლოდ ერთ-ერთი იყო მფლობელი კომპანიის მმართველებს შორის. საუბარია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის აქტიურ მხარდამჭერზე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატზე მმართველი პარტია „ერთიანი რუსეთიდან“ ნადეჟდა სუდენოკზე.

* * *

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ მცხოვრები მილიარდერი დენის შტენგელოვი — ჰოლდინგ „КДВ Групп“-ის მფლობელი, რომელშიც „ზამთრის ალუბალიც“ შედიოდა, კემეროვოში ჩასვლას საერთოდ არ გეგმავს, რადგან ტრაგედიაში თავს დამნაშავედ არ თვლის.

„თანამშრომლები ამბობენ, რომ ცეცხლი ბავშვებმა განგებ გააჩინეს. პირადად მე ვერსია არ მაქვს — იქ არ ვყოფილვარ. თავად სავაჭრო ცენტრთან დაკავშირებით შემიძლია, ის ვთქვა, რომ ობიექტები ცალკე გამოიყოფოდა და იყიდებოდა, ამდენად, საბოლოო ჯამში, მივიღეთ რამდენიმე მესაკუთრის ერთი დიდი კომპლექსი. ჩემი აზრით, მომხდარზე პასუხისმგებლობა იულია ბოგდანოვას ეკისრება — ამ დროისთვის არარსებული საკონდიტრო კომბინატის გენერალურ დირექტორს. ჩემთვის სწორედ ისაა ამ ცენტრის დირექტორი. სწორედ მან გასცა შემდგომში ტერიტორიები იჯარით ნადეჟდა სუდენოკზე. ეს მისი — ბოგდანოვას პირადი ურთიერთობების საკითხია. პირადად მე ეს ნადეჟდა არასოდეს მინახავს. ბოგდანოვას კი გუშინ ტელეფონით ვესაუბრე, — ამბობს შტენგელოვი და დასძენს, რომ მზადაა, ყოველ დაღუპულზე კომპენსაციის სახით 3-3 მლნ რუბლი გამოყოს.

ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი (რომლის მეოთხე საპრეზიდენტო ვადა სულ ახლახან დაიწყო) სენტიმენტალურობით რომ არ გამოირჩევა, საყოველთაოდ ცნობილია. თუმცა იმას, რომ კემეროვოს ტრაგედიის გამო იგი სამუშაო გრაფიკსაც კი არ შეცვლიდა, ბევრი მაინც არ ელოდა.

მომხდარის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ პუტინს არაფერი შეუცვლია — მან ერთ-ერთ შეიხთან შეხვედრა განაგრძო, არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, არც მიმართვა, კემეროვოში კი მხოლოდ მეორე დღეს ჩავიდა და ისიც — მხოლოდ თაიგულის დასადებად. დაღუპულთა ახლობლებს პუტინი თვალით არ უნახავთ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲣᲚᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ

ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲗᲐ ნათესავებსა და ახლობლებს ამ დრომდე არც გუბერნატორი ტულეევი შეხვედრიათ. ის შემთხვევის ადგილზე არც ხანძრის დროს გასულა.

როგორც ტულეევმა ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით ჟურნალისტებს განუმარტა, მას „არ სურდა, გუბერნატორის კორტეჟს მეხანძრეებისთვის მუშაობაში ხელი შეეშალა“.

ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲗᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲛᲘᲥᲡᲔᲣᲚᲘ“ ᲡᲐᲞᲔᲪᲠᲐᲖᲛᲘ

27 ᲛᲐᲠᲢᲡ დილიდან „ზამთრის ალუბლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიური აქცია დაიწყო. მასში როგორც დაღუპულთა ახლობლები, ისე რიგითი კემეროვოელები და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩასული აღშფოთებული მოქალაქეები მონაწილეობდნენ.

მიმდებარე ქუჩებზე სპეციალურ მანქანებში სპეცრაზმელები — ე.წ. „ომონი“ იყო მობილიზებული.

როდესაც აქციაზე ხალხის რაოდენობამ მნიშვნელოვნად დაიწყო ზრდა, „ომონი“, როგორც ჩანს, დაშინების მიზნით მოქმედებაზე გადავიდა, რაც ერთ-ერთმა თვითმხილველმა მობილური ტელეფონით გადაიღო:

კრემლმა მიიღო გადაწყვეტილება, „კემეროვოში მიმდინარე სტიქიური აქციის ნაცვლად, მოსკოვში ორგანიზებული სამგლოვიარო მიტინგი“ ჩაატაროს...

ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ჟურნალისტი მატვეი განაპოლსკი მესამე დღეა, ფეისბუქ-ჩართვებს მართავს და კემეროვოში განვითარებულ მოვლენებს მეგობრებთან ერთად ეხმიანება.

მისი აზრით, პრობლემა სისტემურია, საშველი არსად ჩანს და ერთადერთი გამოსავალია რუსეთის „გადატვირთვა“, რომელიც თავად ხალხმა უნდა უზრუნველყოს:

„მთავარი პრობლემა კემეროვოში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ რუსეთში დამყარებულ შემაძრწუნებელ სისტემაში და ამომრჩეველთა იმ 70%-ზე მეტში, რომელმაც სულ ახლახან სტაბილურობის იმედით ამ სისტემას კვლავ დაუჭირა მხარი.ახლა მთავარი ინდიკატორი იმისა, თუ რას წარმოადგენს დღეს რუსეთი, ვლადიმირ პუტინისა და ტრაგედიის დროს დაღუპული ბავშვების მშობლების შეხვედრა იქნება. ვნახოთ, გაბედავს თუ არა პუტინი, შეხვდეს დაღუპულთა ახლობლებს... ვნახოთ ასევე, ეყოფათ თუ არა თავად იმ ქალებსა და მამაკაცებს ღირსება, პირში უთხრან მას ის, რასაც მასზე ფიქრობენ; გაახსენდებათ თუ არა მათ პუტინთან პირისპირ, რომ ის მათ მიერ კიდევ ერთხელ არჩეული პრეზიდენტია და არა ღმერთი... — აი, ეს იქნება მთავარი ინდიკატორი იმისა, რას წარმოადგენს დღეს რუსეთი და აქვს თუ არა ჩვენს სახელმწიფოს ჯერ კიდევ გადარჩენის შანსი“, — დასძენს განაპოლსკი.

„ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲢᲘ“



უკრაინელი ჟურნალისტები აჭარის შესახებ რეპორტაჟებს ამზადებენ

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით რეგიონს უკრაინაში პოპულარული ტელეარხების „1+1“-სა და „UA-First“ გადამღები ჯგუფები სტუმრობენ. ისინი რეგიონის ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან.

ჟურნალისტებმა უკვე გადაიღეს აჭარული ხაჭაპურის მასტერკლასები, ბათუმის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობები, ფოლკლორი და მთიანი აჭარის ტურისტული პროდუქტები. ისინი ასევე მოამზადებენ სიუჟეტებს, თუ რა სიახლეები დახვდება ტურისტებს აჭარაში და როგორ ემზადება რეგიონი ტურისტული სეზონისთვის. ისინი შეხვდნენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტს, რომელმაც ჟურნალისტებს 2018 წელს დაგეგმილი პროექტები გააცნო.

„გასულ წელს 500-მდე ჟურნალისტი, ბლოგერი და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი სტუმრობდა რეგიონს. საერთაშორისო მედია დიდ ყურადღებას იჩენს ჩვენი რეგიონის მიმართ და რა თქმაუნდა მათ მიერ მომზადებული თითოეული სტატია, რეპორტაჟი თუ გადაცემა იწვევს ჩვენი პოტენციური ტურისტების დაინტერესებას აჭარითა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნით. ამჯერად, უკრაინელ ჟურნალისტებს ვმასპინძლობთ. ჩვენ წლის ბოლომდე გავაგრძელებთ პრეს და ინფოტურების ორგანიზებას სამიზნე ქვეყნებიდან“, — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა.

კოლხური ბზის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად სანერგე მეურნეობა მოეწყობა

ეროვნული სატყეო სააგენტო მიმდინარე წლის აპრილიდან იწყებს ბზის კორომების დაზიანებული ფართობების დამუშავებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში ბიოლოგიური პრეპარატით დამუშავდება სახელმწიფო ტყის ფონდის 550 ჰა-მდე ფართობი. შეწამვლითი სამუშაოები, მავნებლის ბიოლოგიიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში სამჯერ განხორციელდება (გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით).

დაზიანებულ ფართობებზე ასევე ხდება ალტერნატიული ბრძოლის მეთოდის, ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენების გამოცდაც. გარდა ბრძოლის ღონისძიებისა, დაგეგმილია ბზის აღდგენის ღონისძიებებიც. კოლხური ბზის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, ეროვნული სატყეო სააგენტო საკონსერვაციო ღონისძიებებსაც ახორციელებს, შექმნილია თესლის ბანკი, სამეგრელოს რეგიონში მიმდინარეობს კოლხური ბზის სანერგე მეურნეობის მოწყობა. 2016 წელს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ბზის კორომების შეწამლითი სამუშაოები ბიოლოგიური პრეპარატით საქართველოს სამ რეგიონში — იმერეთში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში განახორციელა.

ადამიანი, ძირითადად, საკუთარი თავიდან გამომდინარე რომ განსჯის მავანსა და მავანს, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ უფლის ნების პირადი სურვილებიდან გამომდინარე წარმოდგენა ახალ ადამიანურ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს!

უფალ იესოს უზრუნველი ცხოვრება არასდროს რომ არ ჰქონია მიზნად და ჯვარზეც კაცთა მოდგმის ცოდვებისთვის საკუთარი ნებით რომ ავიდა, ესეც ყველასთვის ცნობილი ფაქტია. დარწმუნებული ვარ, იმისთვისაც კი, ვინც ეს ცნობილი განაცხადი გააკეთა...

სამწუხაროდ, იმდენად არის ეს ხალხი საკუთარი უზრუნველი ცხოვრების შექმნით შეპყრობილი, რომ ამის იქით სხვა მიზნებსა და მოთხოვნილებებს უკვე ვეღარც წარმოიდგენენ. ისე გულწრფელად აყალიბებდა ადამიანი თავის აზრს, რომ აშკარად ჩანდა, ვერც ხვდებოდა, რას ამბობდა! პირიქით, ძალიან კმაყოფილიც კი იყო საკუთარი მიგნებითა და აზროვნების „მაღალეფექტურობით!“ ამიტომ გაბრაზებაც კი ვერ მოვახერხე! თუმცა, ბევრი ძალიან გაბრაზდა და თან ისე ძალიან, რომ განსასჯელიც კი გახდა მათი განრისხების ფორმები!

მე, პირადად, ვერ მივცემ თავს უფლებას, ვინმე განვსაჯო — მხოლოდ ჩემს მოსაზრებებს გადმოვცემ (ღვთის წყალობით, ეს უფლება მაინც გვაქვს დარჩენილი!). მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ცნობილი ფაქტია, **„როცა ვნებები დუღს, ჭეშმარიტება ორთქლდება“**. სხვა საქმეა, ამ ჩვენს აზრებს ვინმე ითვალისწინებს თუ არა, მაგრამ იმედს ვიტოვებ და ადრესატებშიც ვიმედოვნებ ისეთი ადამიანების არსებობას, რომლებსაც სინდისი საკუთარ მოთხოვნილებებზე მაღლა აქვთ დარჩენილი.

ამ ყველაფერმა კი უწმინდესის ერთი რჩევა გამახსენა: — როცა ძალიან გაგიჭირდებათ, თქვენი ტკივილი ჩამოაყალიბეთ, კარგად გაანალიზეთ და ღმერთს მისწერეთო, დარწმუნებული იყავით, წერის დროს თუ არა, შემდეგ მაინც აუცილებლად მოგეწოდებათ აზრი, რომელიც თქვენი პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათო!

აქამდე ამის გაკეთება რატომღაც ვერ შევძელი, ახლა კი გიორგი გაბუნიას განაცხადმა შემახსენა იგი. თან ძალიან დროულად, რადგან დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ღმერთის შეწევნა და მფარველობა.

ღვთის შეწევნა და მფარველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლინდება ხოლმე, როცა ძირითადად, ღმერთის მიერ მოწოდებული კანონებით ვცხოვრობთ და ამ გზით, ჩვენი ტორსული (სხეულებრივი) გამტარობით გარკვეულ რეზონანსში ვიმყოფებით მასთან. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, რომ ყველა ჩვენს ქმედებას თავისი ენერგეტიკული ველი აქვს, რომელიც გვაახლოებს ან გვაშორებს ღვთიურ სუბსტანციას.

ხომ ხედავთ, ყველაფერს თავისი დადებითი მხარე აქვს! მით უფრო იმ ქმედებას, სადაც ღმერთი იქნება ნახსენები თუ გახსენებული. უკვე ამ უზრუნველი ცხოვრების მოტრფიალის მიმართ კეთილადაც კი განვეწყვე! — განვეწყვე, რადგან ძალიან საჭირო ანალიზის გაკეთებისკენ მიბიძგა.

კეთილად იმიტომ, რომ, ალბათ, უკვე იმ ენერგეტიკულ ველში გადავედი, სადაც „ღმერთი არს“ და, რა თქმა უნდა, რახან არს, „არს და იყოს“. და დროულია იმიტომ, რომ ადამიანი (ჩვენს ცივილიზაციში) ასეთი ძლიერი და თან მორალური თუ რელიგიური ღირებულებებისგან თითქმის გათავისუფლებული და „თავისუფალი“ არასდროს ყოფილა:

დიახ, თუ XX საუკუნის დასაწყისში ნიცშესეული „ზეკაცის“ იდეა წარმოადგენდა არსებული ღირებულებების მიმართ ქედმაღლურ პრეტენზიას, რომ გატოლებოდა ღმერთს, იმავე საუკუნის ბოლოს „ზეკაცის“ მისწრაფება გამოიხატება გაცილებით დიდი ამბიციით — ავიდეს ღმერთის დონეზე მაღლა, ანუ თავად შექმნას ისეთი ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც მისთვის სასურველი თვისებებისა და პარამეტრების მატარებელი იქნება.

და აი, მეოცე საუკუნის დასასრულს შეიქმნა პირველი ცოცხალი ორგანიზმი — ცხვარი „დოლი“. სწორედაც ცხვარი და თან „დოლი“ — თეოლოგიურ-ფილოსოფიური განსჯის აუცილებლობით: დოლი ხომ ცხვრის ფარის რეპროდუქტიულობის აღმნიშვნელია ჩვენებურად. მართლაც, „ყოველი საიდუმლო ქართულ ენაშია დამარხული.“ ამიტომაც წერდა გრიგოლ რობაქიძე: **„თვით პლატონსაც არ განუცდია უღრმესად „ადამიანი“, რორგორც ეს გაუგიაო ქართულ გენიას!“**

დიახ, ჩვენი ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სამუდამოდ, ეკონომიკურად უზრუნველი ცხოვრება სურს (მუდმივად, თორემ ახლაც ნამდვილად მაღალი სტანდარტებით ახერხებენ ცხოვრებას), ხოლო მოსახლეობის მეორე, გაცილებით დიდ, თითქმის 70%-ს საარსებოდ აუცილებელი მინიმუმიც არ აქვს! რადგან გაეროს მონაცემების მიხედვით, ადამიანის დღიური შემოსავალი, რომელიც მას ღირსეული ცხოვრების საშუალებას მისცემს, მოიხმარს აუცილებელ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, რათა ელემენტარულად „არ განიდევნოს საარსებო სივრციდან“, მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მთელი თვის და ზოგ შემთხვევაში (თუ თვიურ შემოსავალს ოჯახის წევრების რაოდენობაზე გავყოფთ) რამდენიმე თვის შემოსავალს!

დიახ, ეს ასეა, მაგრამ რა ქნას ღმერთმა, როგორ ვთხოვო ჩვენი შემოსავალი გაზარდე-მეთქი?! ის ღმერთია, ზღაპრის ჯადოქარი კი არა! თან ერთი ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ხომ არ ვთხოვთ, ქვეყნის ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ! ამ ყველაფერმა კი რეჟისორ ტომ შედიაკის ერთი ამერიკული ფილმი გამახსენა (შეიძლება, თქვენც) ჯიმ კერისა და მორგან ფრიმენის მონაწილეობით. ფილმის მთავარი პერსონაჟი ბრიუს ნოლანი ღმერთს საყვედურობს, ხოლო პასუხად ყოვლისშემძლე უფალი მას ღვთიურ ძალას მიანიჭებს... და ბრიუს შესაძლებლობა ეძლევა, ადამიანთა თხოვნებს პასუხი გასცეს და დაეხმაროს! აირევა ყველაფერი, რადგან ვერ ითვალისწინებს კანონზომიერ პროცესებს.

ამ დროს, დიახ, თქვენი პრობლემები არსებული კანონზომიერი მოვლენების შედეგია, რომელიც თქვენ საკუთარი ნებით აირჩიეთო, გამიელვა თავში და ასე მომეწოდა პირველი პასუხი.

და რაში მდგომარეობს ეს კანონზომიერი მოვლენები? რა განაპირობებს მას?

ცხადია, ჩვენი ცხოვრების წესი, ცხოვრების წესს კი — **ქვეყნის იდეოლოგია.**

და რაში მდგომარეობს **ქვეყნის იდეოლოგია?** რა აქცენტები იკვეთება საზოგადოების მხრიდან? ფიქრები კითხვა-პასუხის ფორმატში ელვისებური სისწრაფით ერთმანეთს ენაცვლება ჩემში.

ДИАХ, САЗОГАДОЕБАШИ ОРИ УРТИЕРТИСАПИРИСПИРО МОСАЗРЕБА АРСЕБОБС: ЕРТИНИ ТАВИСУФЛЕБАШИ, КВЕКНИС ЛИБЕРАЛУР-ДЕМОКРАТИУЛ МАРТВЕЛОБАШИ ХЕДАВЕ ПАНАЦЕАС (ЕРТИ ШЕСВОРЕБИТ, МХОЛОД ТАВАД УНДАТ, РОМ АКОНТРОЛЕБДНЕ КВЕЛАФЕРС), МЕОРЕ ПРОБЛЕМАД ЕКЛЕСИИС МСАХУРЕБИС АРАКЕТИЛСИНДИСИЕРЕБАС ГАНИХИЛАВЕ, ХОЛО ДАНАРЕ ДИД НАВИЛС КИ, ЕС КВЕЛАФЕРИ ПИРИКИТ МИАХНИА!

ჰო, მივხვდი, რომ ისევ შარში ვარ და კიდევ უფრო რთულად დაყოფილი საზოგადოება გვყავს, რადგან იმ 70%-შიც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც უზრუნველი ცხოვრება არ აქვთ, მაგრამ განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ. ამიტომ დღეს ამ ყველაფერზე ვერ ვისაუბრებ, მხოლოდ ეკლესიის პრობლემებს შევეხები.

ამიტომ სწორედ იმ პოსტიდან დავიწყებ, ამ ბოლო დროს ინტერნეტსივრცეში რომ გავრცელდა:

„ბლეხის წერილები“, მ. ჯავახიშვილი, 1910 წ.

მღვდელს რომ ჰკითხო, ის ქრისტეს მოციქულია ამქვეყნად, ის ამბობს, ეკლესია და სარწმუნოება ხალხს სულიერ საზრდოს აძლევს და ამქვეყნად სიყვარულსა და ერთობას ქადაგებსო.

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ეხლანდელი ეკლესია და სამღვდელოება მთავრობის მოსამსახურეა და ყველაფერში ისე იქცევა, როგორც მთავრობა უბრძანებს. მთავრობა სარგებლობს ხალხის გაუნათლებლობით და ცდილობს, რომ ხალხმა მხოლოდ საიქიოზე იფიქროს და იზრუნოს, სააქაოზე კი შენს მაგივრად მე ვიფიქრებო. ასე ამბობს მთავრობა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით მისი ზრუნვა. მთავრობა ტყუილუბრალოდ ფლანგავს ხალხის ფულს ძვირფას ეკლესიების აშენებაზე. რუსეთში ბევრია ისეთი ეკლესია, რომელიც რამდენიმე მილიონი დაჯდა.

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე რომ სობოროა აშენებული, ის ნახევარი მილიონი ღირს. მაგრამ ვკითხოთ ერთი ამ ეკლესიების ამშენებლებს, რათ უნდათ მარმარილოს კედლები, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხატები, ოქროს ბარძიმ-ფეხშუმები და სახარება?

განა ქრისტე ასეთ ძვირფას შენობაში ლოცულობდა?

რათ უნდათ მღვდლებს ათას და ათი ათას მანეთიანი სამოსელი?

განა ქრისტეს ისე უბრალოდ არ ეცვა, როგორც ყველას?

მღვდლებს რომ კითხო, ძვირფასი მორთულობა და ძვირფასი ეკლესია მლოცველს სასოებას უმატებსო.

ჩემი აზრით, ეს ფართი-ფურთი, ბრჭყვიალა ზიზილ-პიპილოები და ძვირფასი მორთულობა ხალხის თვალის მოსატაცებლად არის მოგონილი...

* * *

ДИАХ, ეს ჯერ კიდევ მხოლოდ 1910 წელია.

და სწორედ საზოგადოებაში არსებული ასეთი ტონის გამო (რომელიც ყველაზე მოდურ და ამაღლებულ ტონად ითვლებოდა იმ პერიოდში) დაანგრიეს კომუნისტებმა ეკლესიები და საშინლად მოექცნენ სასულიერო პირებს (ახლა, ამის გამო ასე სასტიკად რომ განვიკითხავთ მათ).

ან საბჭოთა კავშირი ჯერ სად იყო, ნიცშე „ხმალამოღებული“ რომ ებრძოდა არა მხოლოდ ეკლესიას, ღმერთსაც კი. და რა მოვიგეთ?! იმ პერიოდს შემდეგ, ჩვენთან საშინელი 30-იანი წლები მოჰყვა. კარგად გვახსოვს, თავად მიხეილ ჯავახიშვილიც (და არა მხოლოდ ის) შეეწირა იმ უღმერთობის პერიოდს. ნიცშემ კი ფსიქიატრიულში დაასრულა ცხოვრება!

რატომ არ ვითვალისწინებთ, რომ ეკლესია ღმერთის სახლი და ამავე დროს, ღმერთის ამქვეყნიური ინსტიტუტია. ხოლო, იმ

ქვეყნის ეკლესიას, რომელსაც მუდამ სხვა ზესახელმწიფოები მართავენ, აქვს კი შანსი დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებების შესაბამისად მართოს იგი?

სამწუხაროდ, ეკლესიაში მუდამ იყვნენ და ეჭვი მაქვს, ისევ იქნებიან ეგრეთ წოდებული „ჩანერგილები“, რომლებიც ეკლესიის დისკრედიტაციას შეეცდებიან, ცხადია, ჩანერგილების გარდა სხვებიც, ცუდ მაგალითს დიდი ძალა აქვს. ჩვენ რა ვქნათ, კომუნისტების მსგავსად მოვიქცეთ? ბოლოს ისინიც კი მიხვდნენ საკუთარ შეცდომებს! სწორედ სტალინმა დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია. ხოლო ეკლესიის სიმდიდრე ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა! მით უფრო, დღეს, როცა დღითი დღე შაგრენის ტყავივით მცირდება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოს ეკონომიკური საკუთრება. დაფიქრდით, გოლოვინზე ქაშუეთის (ქაშვეთის) ეკლესია რომ არ იდგეს ამაყად, რამდენი დააკლდებოდა ჩვენს ქალაქს!!

* * *

რატომ არ შეიძლება ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა და მის წინააღმდეგ ბრძოლაო, — მომეწოდა ისევ კითხვა!

დიახ, მართლმადიდებლობა ყველაზე უფრო დემოკრატიული გახლავთ სხვა სარწმუნოებათა შორის და განსაკუთრებული, დადებითი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო თვალსაზრისითაც. რაც ყველაზე მთავარია, იგი შეესაბამება ჩვენი ერის ტრადიციებს და დადებითად მოქმედებს მის განვითარებაზე. დადებითად მოქმედებს მის როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ სიჯანსაღეზე და არავის აძლევს ირგვლივ მყოფებზე რაიმე უპირატესი ან უარყოფითი ზემოქმედების საშუალებას. ასევე, არ იწვევს იმ ზემგრძნობიარე ანომალიურ გამოვლინებას, რომელიც საკმარისად ხშირად გვხვდება სხვადასხვა რელიგიურ სექტაში...

— დიახ, მაგრამ ეს, ალბათ, ბევრმა ისედაც იცისო, — ისევ მომეწოდა აზრი და გონება ისევ გამინათდა:

ამავდროულად, რადგან ბიბლიური სიბრძნე და თავად ტექნიკური პროგრესი სწორედ სიმბოლურობის, ფორმებითა და ფორმათა ქმნადობით ხასიათდება, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბიბლიურად, ამქვეყნიურ და შეუცნობელ, უხილავ სამყაროს შორის „კავშირს“ ოდითგან სიბრძნის სიმბოლოდ წოდებული გველი ამყარებს.

— ჰოო, XX საუკუნის ბოლომდე, თითქმის ყოველი ენერგიის გადაცემა და მიღება სწორედ გველის სხეულებრივი ფორმის მქონე გამტარებით ხდება, — დავეთანხმე ამ საინტერესო მიგნებას ფიქრებში და ღმერთის შეწევნა თავიდან ვითხოვე. აზრები ისევ მომეწოდა:

გველი, როგორც სიბრძნის ნიშანი, გვხვდება სამედიცინო სიმბოლიკაში და თვით მღვდელმთავრის კვერთხშიც, სადაც გველის ორი თავის შუაში დედამიწაა სიმბოლურად გამოსახული, ხოლო ამ ყველაფრის ზემოთ — ჯვარი.

ძველ ეგვიპტეში, ტუტანჰამონს კი გველი თავზე აქვს შემოხვეული, — ესეც გამახსენდა და ფიქრი და წერა განვაგრძე:

ჯვრის ვერტიკალური ღერძი — ზესკნელისა და ქვესკნელის კოსმიურ ვექტორში ადამიანის სულიერ ბუნებას წარმოადგენს. მისი მკვეთი ჰორიზონტალური ღერძი კი ადამიანური შესაძლებლობებისა და ვნებების ღვთიურ შემოსაზღვრას გამოხატავს. ჯვრის კოსმიური ვერტიკალური კვეთით უფალი ქვესკნელის ძალებისაგან იცავს ადამიანს და ზესკნელის ღვთიური ძალაც მისი ნებით მოგვეგება.

— ჰო, ალბათ, ამიტომაც ჩვენი შესაძლებლობები, ძირითადად, ადამიანურად ხელმისაწვდომი უნარებით გამოისახება. სხვა სულიერი შესაძლებლობების მქონე პირებს ეკლესიურ ცხოვრებას ურჩევენ. თუმცა უკვე ცოცხალ არსებათა შორის ადამიანი ერთადერთია, რომლის შესაძლებლობები მისი ფიზიკური არსების მიღმა დღითი დღე იზრდება და შეუძლია, ერთი კონტინენტიდან მეორეზე მოახდინოს გავლენა, — გავიფიქრე და აზროვნების მაქსიმალურად დაძაბვა ისევ მოვინდომე:

ქრისტიანულმა რელიგიამ კაცობრიობა დაიცვა და დაიფარა უკონტროლო მისტიკური, ქურუმთა ზეკაცური სისასტიკისა და გაუწონასწორებელი პარანორმალური მოვლენებისგან.

— თუმცა კათოლიკურმა ეკლესიამაც ბევრი ბოროტება ჩაიდინა! — გამახსენდა მათ მიერ განხორციელებული ინკვიზიციები, რომლის მსგავსი ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიას არასდროს ჩაუდენია და ისევ მოდენილ ფიქრებს მივყევი:

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ათწლეულებში ენერგიის მიღება და გადაცემა ხორციელდება პირდაპირ კოსმიური სივრციდან, უხილავი და ხელშეუხებელი ფორმით. შეიძლება ითქვას, სწორედ იმ დროიდან დაიწყო ახალი ეპოქა, როცა ჯვრის ძალით თანდათან მარცხდება მაცდური გამტარი ან, პირიქით, თუ საჭირო ძალისხმევა არ იქნა, ამ ახალი ენერგიით შევდივართ ისეთ უცნობ სამყაროში, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დიდი სიფრთხილე და შესწავლა!

— ჰოო, მობილურებითა და ინტერნეტით კოსმოსიდან ყოველგვარი გამტარი მავთულხლართების გარეშე ვიღებთ ათასნაირ კოსმიურ ენერგიას და ვამყარებთ კავშირს ნებისმიერ კონტინენტთან! ცხადია, სიფრთხილეა საჭირო! ბოლოს და ბოლოს, გასაგები ხდება, რომ ყველაფერს თავისი ენერგეტიკული ველი აქვს, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და ისევ მნიშვნელოვანი აზრი მომეწოდა:

სწორედ ამიტომ, მღვდელმთავრის კვერთხი კაცობრიობის ყველაზე ბრძნული სიმბოლური ფორმულირებაა, რომლის მფარველობის ქვეშ ყოფნა საშუალებას იძლევა, ჯვრის კოსმიური კვეთის ღვთიურ საზღვრებში წარიმართოს ამქვეყნიური სიბრძნის განვითარება და თავიდან ავიცილოთ ის საშიშროება, რომელსაც გვიქადის ცდუნებაზე დაფუძნებული მეცნიერული მიღწევები... რაც მთავარია, ეს ძალა ღვთივკურთხეული მღვდელმთავრის ხელში გამოვლინდება მხოლოდ, რადგან მხოლოდ მას, თავისი ცხოვრების წესით აქვს ის ენერგეტიკული ველი, რომელიც მის კვერთხს სასწაულებრივ ძალას არგუნებს.

— ანუ, თუ ამ ლოგიკას გავყვებით და უნდა გავყვეთ კიდეც, რახან ამ უხილავი ენერგიით ახალ, უცნობ სამყაროში უკვე შევედით, გამოდის, რომ ახალი მეცნიერული მიღწევები გველის გამტარობით მოტანილი ბიბლიური სიბრძნითა და მღვდელმთავრის კვერთხით შესაძლებელია ვეღარ დაბალანსდეს, თუ საამისო სურვილი არ იქნა. ამიტომ ათეისტი მეცნიერების თანმიმდევრული წინსვლაც სწორედ ღვთიური ძალითა და ბიბლიური სიბრძნით უნდა იქნეს გაჯერებული, რადგან ეს სიბრძნე ჯერ კიდევ მხოლოდ ნაწილობრივ გვაქვს ათვისებული. ისიც ცნობილია, რომ მეცნიერება ძალიან ხშირად ამტკიცებს ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, ამიტომ თანამედროვე ტექნოლოგიები ბიბლიურ სიბრძნეში უნდა ეძებდეს იმ თანხვედრ მოსაზრებებს, რომლებიც რეზონანსული იქნება მათ მიზნებთან.

დიახ, საზოგადოებაში ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება არსებობს: ერთნი თავისუფლებაში, ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიულ მმართველობაში ხედავენ პანაცეას (ერთი შესწორებით, მხოლოდ თავად უნდათ, რომ აკონტროლებდნენ ყველაფერს), მეორე პრობლემად ეკლესიის მსახურების არაკეთილსინდისიერებას განიხილავენ, ხოლო დანარჩენ დიდ ნაწილს კი, ეს ყველაფერი პირიქით მიაჩნია!

მით უფრო, მატერიალისტური მეცნიერება უკვე ზომავს და წონის თვალით უხილავს, ანუ შეიჭრა მეტაფიზიკაში. უამისოდ ამ ტექნიკურმა ზღვარდაუდებულმა წინსვლამ შეიძლება, მართლა მიგვიყვანოს კატასტროფამდე — თითქოს ჩემი ეჭვი დამიდასტურაო, უკვე აშკარად ჩამესმა ხმა:

თანამედროვე ტექნოლოგიებით, ნახშირჟანგის გამომყოფი უამრავი სატრანსპორტო საშუალებით, სატელეფონო მობილური კავშირების კოსმოსური თანამგზავრებით, საკომუნიკაციო თეფშებით, ატომური ელექტროსადგურებითა და მრავალი სხვა შესაძლებლობით გადიდკაცებული, ზნეობრივი პრინციპებისაგან თავისუფალი, მოუცლელი ხალხის აზრი გაცილებით ხისტი, ვითომ პრაგმატული და წინდაუხედავი გახდა. ამიტომ თავადაც ძალიან დაშორდა და დედამიწაც დააშორა ღვთიურ პირველსაწყისს — ბუნებას. მასთან დაშორება კი იმ საშიშროებასთან აახლოებს კაცობრიობას, რომლითაც ასე თავგამოდებით აშინებენ დღეს ადამიანებს.

ჰო, ამიტომ მღვდელმთავრის ლოცვა, მის ირგვლივ დგომა და მორჩილება დღეს როგორც არასდროს ისე სჭირდება საზოგადოებას!

დიახ, მორჩილება, რადგან მღვდელმთავარი ყოველთვის ფლობს იმ ღვთიურ საიდუმლოებებს, რომლებიც უცნობი და ზოგჯერ შეიძლება ითქვას, შეუცნობელიც კი იყოს ჩვეულებრივი მოკვდავთათვის.

მით უფრო, ქვეყნად არსებულ სოციალურ ფენათა ცხოვრების წესის მკვეთრი შეუსაბამობა საზოგადო კანონთა შეუსაბამობასა და ამიტომ არასამართლიანობასაც განაპირობებს. ხოლო ხანგრძლივი დროით დანაშაულებრივი ცხოვრების პირობებით გამრავლებული ბოროტება ღვთიური დაცვის ჰარმონიას არღვევს და სტიქიური თუ სოციალური აგრესიის სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ახალ-ახალი დაავადებით ბუმერანგივით უკან უბრუნდება მტყუანსა და მართალს, მთელ ქვეყანას! — ალბათ, უკვე მთავარი მოსაზრება და დასკვნა მომეწოდა-მეთქი, გავიფიქრე, მართალია, ძალიან დავიღალე, ფიქრი მაინც განვაგრძე: — ცხადია, რახან ღვთიური დაცვის ჰარმონია ირღვევა და სუსტდება, სასჯელიც ძლიერდება და მტყუანსა და მართალს ერთნაირად მიეზღვევა. რახან ისევ ვიმეორებ, ერთ ნავში ვსხედვართ და ვერც ახალ საქართველოს და ვერც ახალ დედამიწას ვერ გამოვიგონებთ!

* * *

აი, ასეთი იყო ჩემი ჩუმი დიალოგის პასუხი. არ ვიცი, შემდეგ, როცა თავისუფლებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ფორმის შესაბამისობაზე ვისაუბრებ, მექნება თუ არა ამ დიალოგის შესაძლებლობა, მაგრამ გპირდებით, ძალ-ღონეს არ დავიშურებ. თქვენი გამოხმაურებები კი ენერგიას შემმატებს და მეტი მონდომებით ვიმუშავებ!

ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი სულიერად დაკავშირებულია როგორც აწმყოსთან — არსებულ პირობებთან, ისე წარსულსა და მომავალთან. ქვეყნის ეროვნული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სახე სწორედ ამგვარი განწყობილების შედეგია. რომელიმე ამ კავშირის გაწყვეტა არღვევს ცხოვრების რიტმს და ძარცვავს ადამიანს, — ისევ ჩემი სხვა პუბლიკაციის ამონარიდი გამახსენდა, რომელიც ასევე ძალიან თანხვედრაშია დღევანდელ თემასთან.

ბოლოს ეს ჩემი „ჩუმი დიალოგი“ თავიდან წავიკითხე და გამახსენდა დიდი კომპოზიტორის ჩაიკოვსკის საუბარი თავის მეგობართან: — როცა ჩემს მუსიკას ვუსმენ, ფაქტის წინაშე ვდგები, რაც ძალიან მომწონს, ძალიან მელოდიური და საოცრად ჰარმონიულია, ღვთისგან არის მოწოდებული, ჩემი ჩართვები ცოტა დაჩაგრულად ისმინება მათთან შედარებითო.

ასეა ჩემს შემთხვევაშიც, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ ადამიანები მხოლოდ გამტარები ვართ და ისევ გავიმეორებ დასაწყისში გამოთქმულ ჩემს მოსაზრებას.

ღვთის შეწევნა-მფარველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლინდება ხოლმე, როცა ძირითადად, ღვთის მიერ მოწოდებული კანონებით ვცხოვრობთ და ჩვენი გამტარობით გარკვეულ რეზონანსში ვხვდებით მასთან. ამიტომ ეკლესიასთან ბრძოლა ისე, როგორც წინა საუკუნის დასაწყისში, დადებით შედეგს არ მოგვიტანს, პირიქით, დაგვაზარალებს!

ია საკანდელიძე,
ექიმი, პუბლიცისტი

რუსთავის „აზოტს“ გათავისუფლებული 56 თანამშრომლის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა

გადაწყვეტილება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გუშინ გამოაცხადა. სასამართლომ თანამშრომლების გათავისუფლება უკანონოდ ცნო.

პროფკავშირების დავა რუსთავის აზოტთან წელიწადზე მეტხანს მიმდინარეობდა და საბოლოოდ პროფკავშირის გამარჯვებით დასრულდა.

ვალერი გელაშვილის ცემისთვის სპეცრაზმელებს ჯილდოდ 500 დოლარი გადასცეს

თბილისის საქალაქო სასამართლოში ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე მოწმე მამუკა ცინარიძის მიერ მიცემული ჩვენება გუშინ გასაჯაროვდა. აღნიშნული შუამდგომლობა პროკურორებმა დააყენეს, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

პროკურორის განმარტებით, მამუკა ცინარიძემ საქართველო 2016 წელს დატოვა და მასთან ვერც ოჯახის წევრები და ვერც საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები დაკავშირებას ვერ ახერხებენ, დაუდგენელია მისი ადგილსამყოფელი და ამიტომ ამოწურულია სასამართლოს წინაშე წარდგენის ყველა შესაძლებლობა. შესაბამისად, ბრალდების მხარის შუამდგომლობას მოსამართლე დაეთანხმა.

ჩვენება, რომელშიც მამუკა ცინარიძე ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტს აღწერს, მან გამოძიებას 2014 წელს მისცა. ის ამბობს, რომ მოდულის შენობაში დაიბარეს, შემდგომ აცნობეს, რომ ოპერაციის ობიექტი იყო მამაკაცი, რომელიც ქალაქში დაცვასთან ერთად ჯავშნიანი ავტომანქანით მოძრაობდა. ცინარიძის ჩვენების მიხედვით, სპეცრაზმელები სამოქალაქო ფორმაში იყვნენ ჩაცმულები. მოწმის ჩვენების მიხედვით, გარკვეული პერიოდი სპეცრაზმელები ქალაქში გადაადგილდებოდნენ და მითითებებისამებრ იქცეოდნენ. მას შემდეგ, რაც გელაშვილის დაცვასა და ვალერი გელაშვილზე ფიზიკური ანგარიშსწორება განახორციელეს, კვლავ მოდულის შენობაში დაიბარეს და ოთახში რამდენიმე ადამიანი დახვდათ, მათ შორის, ერეკლე კოდუა. მოწმის თქმით, მაგიდაზე უცხოური ვალუტა იდო და თითოეულ სპეცრაზმელს 500 ამერიკული დოლარი გადასცეს ჯილდოს სახით, ასევე, ოპერაციის წარმატებით განხორციელებისთვის ერეკლე კოდუამ მათ მადლობაც გადაუხადა. მოწმე ამბობს, რომ ოპერაციას უშუალოდ ალექსანდრე ნაჭყებია ხელმძღვანელობდა და ბრძანებებსაც ის გასცემდა. ცინარიძე ამბობს, რომ სპეცრაზმელებს მხოლოდ ნიღბები ეკეთათ და მათი სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. საქმე ორ ეპიზოდად გაიყო და ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობის საკითხი სასამართლოში ცალკე განიხილება.

აზარტულ თამაშებში ჩართული პირები საჯარო უწყებებში ვერ დარჩებიან!

საჯარო სექტორში დასაქმების მსურველ პირებს შესაძლოა, დამატებითი ცნობის წარდგენის ვალდებულება გაუჩნდეთ იმის შესახებ, რომ ისინი აზარტულ თამაშებში ჩართული არ არიან.

ამის შესახებ დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა განაცხადა და აღნიშნა, რომ, როგორც ე.წ. ნარკოლოგიური ცნობის წარდგენაა საჭირო საჯარო სექტორში დასაქმების დროს, ასევე, სავალდებულო უნდა იყოს შესაბამისი ცნობის წარდგენა იმის შესახებ, რომ საჯარო სექტორში დასაქმების მსურველი აზარტულ თამაშებში არ არის ჩართული.

კანონპროექტი გულისხმობს მოთამაშეთა რეესტრის შექმნას, სადაც დარეგისტრირება მოუწევს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც საქართველოს სივრცეში აზარტულ თამაშებშია ჩართული.

„ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის, სამხედროებისთვის, მაღალი თანამდებობის პირებისთვის თუ სხვა საჯარო მოხელეების მიმართ მკაცრი მოთხოვნა არსებობდეს, რათა მათ მოთამაშეთა რეესტრში თავი შეიზღუდონ და ოფიციალურად აზარტულ თამაშებში ჩართვის საშუალება არ ჰქონდეთ“, — აღნიშნა ლევან გოგიჩაიშვილმა.

აღნიშნული ინიციატივის შესახებ **For.ge „აფბა“**-ს ეკონომისტს **ანდრია გვიდიანს** ესაუბრა.

— თუკი აზარტულ თამაშებში ჩართული პირები საჯარო უწყებებში ვერ დასაქმდებიან, გახდება ეს ერთგვარი შემაკავებელი მექანიზმი, რომ ჩვენი საჯარო მოხელეები ამ ტიპის თამაშებში არ იყვნენ ჩართული?

— ზოგადად, საინტერესოა, რატომ გვაქვს დაწესებული აკრძალვები საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით. ნარკოლოგიური ცნობის შემთხვევაში, ეს აიხსნება იმით, რომ ნარკომანიაში ჩართული ადამიანი შეიძლება საშიში იყოს საჯარო სამსახურისთვის იმდენად, რამდენადაც სწორედ ნარკოლოგიური ზემოქმედების ქვეშ მიიღოს არასახელმწიფოებრივი და არასწორი გადაწყვეტილებები. აზარტულ თამაშებში ჩართულობა კი ნამდვილად არ არის ის ფაქტორი, რის გამოც შესაძლოა, ადამიანებს საჯარო სამსახურში დასაქმება აეკრძალოთ. აზარტული თამაშები არ გახლავთ სენი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ადეკვატურობასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამდენად, დაბალია იმის რისკი, რომ აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანი არასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიმღები იყოს. თუკი აღნიშნული რეგულაცია შემოვა, ამით შეიძლება ძალიან ბევრი პროფესიონალი დავკარგოთ საჯარო უწყებაში.

აზარტულ თამაშებში ჩართულობა არ ნიშნავს, რომ ადამიანი გონებრივად შეზღუდულია, ან მას არა აქვს უნარი, სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმე აკეთოს. ამიტომ არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ასეთი რეგულაცია გვჭირდება. ვფიქრობ, ეს ნაჩქარევი მოსაზრებაა.

— ზოგადად, აზარტულ თამაშებთან დამოკიდებულება როგორ უნდა შეიცვალოს, რომ ახალგაზრდობა არ იყოს მასში ჩართული. აქ ასაკობრივ ცენზზეც იყო საუბარი. ვის უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ამ თამაშებზე- 21 წლის თუ 22 ან 23 წლის ახალგაზრდებს?

—ძირითადი გამოცდილება გვაქვს 21 წლის ზევით ასაკის მქონეების ჩართულობაზე. ამიტომ ასაკობრივი ცენზი უნდა იყოს 21 წელი და არა 22, 23 ან სხვა ასაკი. 21 წელი სავსებით ნორმალურია და, შესაბამისად, სხვა ასაკობრივი ცენზის გამოგონება საჭირო არ არის. ჩვენ გვქონდა რეკომენდაციები ხელისუფლებისადმი აზარტული თამაშების მოწესრიგებასთან დაკავშირებით და იქაც ასაკობრივ ცენზად 21 წელი დავაფიქსირეთ. 21 წელი ის ასაკია, როდესაც ადამიანი თვითონ წყვეტს, რა უნდა გააკეთოს. 21 წლის ადამიანს მცირეწლოვანი ნამდვილად არ ეთქმის.

— აზარტულ თამაშებზე ბევრი ადამიანია დამოკიდებული და, რიგ შემთხვევაში, მათი ბედი ფატალურად სრულდება. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ინიციატივა შემუშავებული, როგორ უნდა დავიცვათ ამ სენისგან ჩვენი მოსახლეობა?

— არსებობს გამოცდილება, სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული და წარმატებული მეთოდები. რეგულაციების შემოღების თვალსაზრისით, ყველაზე მისაღები რაც არის, სწორედ ის რეგულაციები უნდა ავიღოთ. ჩვენ ვერ შევაკავებთ ადამიანებს, რომლებიც ძლიერად არიან დამოკიდებული აზარტულ თამაშებზე და ამის გამო სახლებსაც კი ყიდიან. ნებისმიერი ახლადშემოღებული რეგულაცია ვერ გახდება შემაკავებელი ფაქტორი და ვერ აღმოფხვრის აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას, თუკი მას არ ავკრძალავთ. ხოლო, თუ ავკრძალავთ, მაშინ აზარტული თამაშები გადაინაცვლებს უცხოურ სერვერებზე და უცხოეთში დაიწყება თამაშები. ამიტომ რეგულაციების მთავარი ამოცანაა, შემცირდეს აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანების რაოდენობა და აზარტულ თამაშებში გამოთავისუფლებულმა თანხებმა გადაინაცვლოს ეროვნულ დანაზოგებში და უფრო რეალურ ეკონომიკას მოხმარდეს.

რეგულაციები არ არის პანაცეა, რეგულაციები არ ნიშნავს, რომ არც ერთი ადამიანი არ იქნება აზარტულ თამაშებში ჩართული. ამას არავინ ამბობს. არის ქვეყნები, სადაც სრულად აკრძალეს ეს თამაშები, მაგრამ, ვისაც ძლიერი დამოკიდებულება ჰქონდა აზარტულ თამაშთა მიმართ, ისინი მაინც ჩართულნი იყვნენ ამ საქმეში და იატაკქვეშეთში გადაინაცვლა ამ თამაშებმა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ისეთ ღონისძიებებს ვერ გაატარებს, რომ არც ერთი ადამიანი არ იყოს აზარტულ თამაშებში ჩართული. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ მაქსიმალურად შევზღუდოთ არარენტაბელური ეკონომიკის ნაწილი აზარტულ თამაშთა სახით და აღნიშნულ თანხებს მივცეთ საშუალება, უფრო რენტაბელურ და ეკონომიკურად გამართლებულ სექტორებში გადაინაცვლოს. სტატისტიკას თუ შევხედავთ, 2011 წლიდან 2016 წლამდე აზარტულ თამაშებში თანხების ბრუნვის რაოდენობა დაახლოებით 11-ჯერ არის გაზრდილი, ანუ 350 მილიონიდან გაიზარდა და 4 მილიარდზე მეტი შეადგინა 2016 წელს. ეს სტატისტიკა საგანგაშოა, რადგან აღნიშნული თანხები არ ქმნის არანაირ ღირებულებას ეკონომიკაში. თუ რამენაირად შევზღუდავთ და ამ თანხებს მივმართავთ რეალურ ეკონომიკაში, ცხადია, ბევრად უფრო მომგებიანი იქნება ქვეყნისთვის, როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე დასაქმების თვალსაზრისით.

— ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა აკრძალეს აზარტული თამაშები, ამ თამაშებზე დამოკიდებულმა პირებმა კი გადმოინაცვლეს საქართველოში, ძირითადად, აჭარაში. თავის დროზე ერდოღანმა ბიძინა ივანიშვილს მიმართა თურქეთის საზღვართან ახლოს მდებარე სამორინეების დახურვის თაობაზე. ფიქრობთ, რომ ჩვენი სამხრეთელი მეზობლების მხრიდან არასწორი პოლიტიკა იყო, როცა ჩვენთან გამოუშვეს ეს თანხები?

— საკითხი უნდა გავყოთ ორად და რეალური აზარტული თამაშების სახლები გავმიჯნოთ ონლაინ აზარტული თამაშებისგან. ეს უკანასკნელები ისე იბეგრებიან, როგორც ჩვეულებრივი შპს-ები, რაც წლიდან წლამდე ონლაინ აზარტულ თამაშებში ჩართულ ადამიანთა რაოდენობის ზრდას ხელს უწყობს. მეორე მხრივ, რეალური აზარტული თამაშების სახლების რაოდენობა მუდმივად მცირდება. კერძოდ, 2011 წელს დაახლოებით 450 ნებართვა გაიცა რეალური აზარტული თამაშების სახლების შექმნაზე, ხოლო 2016 წელს გაიცა მხოლოდ 130 ნებართვა. ეს ნიშნავს, რომ ონლაინსივრცის განვითარების პარალელურად აზრს კარგავს რეალური აზარტული თამაშების სახლები. ეს იმ პირობებში, როცა რეალური აზარტული თამაშების სახლები ბევრად უფრო რენტაბელური და მომგებიანია ქვეყნისთვის. იქნება ეს ფისკალური კუთხით, ტურიზმის განვითარების, ინფრასტრუქტურის თუ დასაქმების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, თუ სრული აკრძალვის გზით არ წავალთ, მაშინ ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, უფრო მეტად წახალისდეს რეალური აზარტული თამაშების სახლები და მაქსიმალურად შეიზღუდოს ონლაინ თამაშები.

— ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაფერი უნდა აიკრძალოს, რაც სიტყვა ონლაინით იწყება.

— აკრძალვა არ არის პანაცეა, აკრძალვით პრობლემა ღიად დარჩება და შესაძლოა, ბევრი თვალსაზრისით, უფრო მძიმე პრობლემებსაც გადავაწყდეთ. შესაძლოა, ეს იყოს იატაკქვეშეთში გადანაცვლება, რაც მერე ხელს შეუწყობს კრიმინალის გაზრდას. ამიტომ ჩვენ უნდა ავწონოთ ის რისკები, რაც სრულ აკრძალვას მოჰყვება. არსებობს იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც სრული აკრძალვით ბევრად უფრო რთული შედეგი მიიღეს, ვიდრე ლეგალურად დატოვებით, ოღონდ მაქსიმალური შეზღუდვით. ამიტომ აზარტული თამაშები უნდა შეიზღუდოს, მაგრამ უნდა არსებობდეს და ხელმისაწვდომი იყოს, რომ ამან იატაკქვეშეთში არ გადაინაცვლოს და არ მოხდეს საზღვარგარეთულ სერვერებზე თანხების გადინება.

— ფაქტია, რომ აზარტულ თამაშებში ჩათრეული ადამიანების ნაწილი ფატალურად ასრულებს სიცოცხლეს. ამ შემთხვევაში, აზარტული თამაშების სახლების მეპატრონეებმა როგორ უნდა გაარჩიონ, რომ სენსიტიური ან ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები არ დაუშვან ასეთ დაწესებულებებში?

— ძალიან რთულად იდენტიფიცირებადია, რის გამო მივიდა ადამიანი სუიციდამდე. შეიძლება, ეს იყო აზარტული თამაშები, შეიძლება, ეს იყო რისკიან ბიზნესში თანხების ჩადება და შემდგომ თანხების დაკარგვის გამო თვითმკვლელობა. ცხადია, ყველა შემთხვევასთან მიმართებით სახელმწიფო ვერ იზრუნებს და არც არის სახელმწიფოს ფუნქცია ადამიანების კონკრეტულ ჯგუფებზე ზრუნვა და მათი გადარჩენა, თუ ეს არ ეხება ჯანდაცვის საკითხებს. როცა ფსიქოლოგიურ ფაქტორზეა საუბარი, რთული იქნება იმის კონტროლი, აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანები, ან წარუმატებელი შეყვარებულები გამოვიხსნათ და დავიცვათ სუიციდის რისკისგან. ეფექტური არ იქნება, პატერნალისტური მიდგომები გამოიჩინოს სახელმწიფომ აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანების მიმართ. სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტურ გადაწყვეტილებებზე არ უნდა იხარჯებოდეს ადამიანური რესურსები.

მანანა ნოზაძე

აშშ-ში მოზარდმა სკოლაში ცეცხლი გახსნა

ამერიკის მერილენდის შტატში 17 წლის მოზარდმა, რომელმაც სკოლაში ცეცხლი გახსნა, თავი მოიკლა.

სენტ-ნერის ოლქის სკოლაში სროლა გუშინ მოხდა. 17 წლის მოსწავლემ ოსტინ როლინსმა ამავე სკოლის მოსწავლე გოგონას ესროლა. ინციდენტის შედეგად დაიჭრა კიდევ ერთი მოსწავლე. მომხდარის შესახებ სკოლაში მყოფ პოლიციელს ეცნობა, რომელმაც თავდამსხმელი განაიარაღა.

NATO რუსეთის მუდმივი წარმომადგენლობის შვიდ თანამშრომელს აძევებს

დიდ ბრიტანეთში ყოფილი რუსი ორმაგი აგენტის სერგეი სკრიპალის მოწმვლის გამო, NATO ბრიუსელიდან რუსეთის მუდმივი წარმომადგენლობის შვიდ თანამშრომელს გააძევებს. ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. მისივე თქმით, ნატომ 30-დან 20-მდე შეამცირა რუსული დიპლომატიური მისიის წევრთა რაოდენობა. ალიანსში შეწყდა სამი რუსი დიპლომატისთვის აკრედიტაციის საკითხის განხილვაც.

სერგეი სკრიპალის მოწამვლის გამო რუს დიპლომატებს მსოფლიოს 23 ქვეყნიდან გააძევებენ. 60 დიპლომატს აძევებს აშშ, გერმანია - 4, პოლონეთი — 4, უკრაინა — 13, დანია — 2, საფრანგეთი - 4, ჩეხეთი — 3, ლატვია - 1, ესტონეთი — 1, ლიტვა — 3, იტალია — 2, კანადა - 4, ნიდერლანდები — 2, რუმინეთი — 1, ფინეთი — 1. ესპანეთი — 2, ნორვეგია — 1 და ა.შ.

ორი სამგზავრო თვითმფრინავი ერთმანეთს შეეჯახა

თელ-ავივის საერთაშორისო აეროპორტში ორი სამგზავრო თვითმფრინავი ერთმანეთს შეეჯახა. გაჩერების დროს გერმანული კომპანიის German Wings-ის თვითმფრინავი ისრაელის ავიაგადამყვანს Ek Al-ს გამოედო, რომელიც ასაფრენად ემზადებოდა. რეისი გადაიდო, მგზავრები ბორტიდან ჩამოიყვანეს. არსებული ინფორმაციით, არავინ დაშავებულა. ორივე თვითმფრინავს კუდის ნაწილი დაუზიანდა.

კიმ ჩენ ინი ჩინეთს ეწვია

რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა, ჩინეთმა და ჩრდილოეთ კორეამ დაადასტურეს, რომ კიმ ჩენ ინი პირველი საგარეო ვიზიტით ჩინეთს ეწვია. ის ჩინეთში კვირას მეუღლესათან ერთად ჩავიდა და ქვეყანა გუშინ დატოვა.

კიმ ჩენ ინი ჩინეთის პრეზიდენტს სი ძინპინს შეხვდა და ჩინური მედიის ინფორმაციით მათ შორის „წარმატებული მოლაპარაკებები„ შედგა. შეხვედრის დეტალები უცნობია.

მკვლელი პროფესიონალი იყო... ძალიან დიდი შიში მაქვს...

რა იცის შვილის მკვლელობიდან 50-ე დღეს დოდო გუგეშაშვილმა

თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი დოდო გუგეშაშვილი 48 დღეზე მეტია, საგამოძიებო ორგანოებისგან უშედეგოდ ელოდება მთავარ კითხვაზე პასუხს: ვინ, რატომ და რა მოტივით დაესხა თავს უცნობი პირი მის ოჯახს, მძიმედ დაჭრა თავად დედა და მოკლა მისი 33 წლის შვილი ნოდარ გუგეშაშვილი.

„ორი კვირის წინათ შევხვდი გამომძიებლებს, თუმცა სიახლე არაფერია. მე რა საქმის მასალებიც მანახვეს, იქ ხელმოსაჭიდი არაფერია. ვიცი, რომ ძალიან ინტენსიურად მუშაობენ, თუმცა რაიმე გამოკვეთილი მათაც არაფერი უთქვამთ. ძალიან დიდი შიში მაქვს... ამ შეხვედრიდან მალე-ვე, ბიზნესმენი ჩაცხრილა დაქირავებულმა მკვლელმა“ — აღნიშნა „ნიუპოსტთან“ დოდო გუგეშაშვილმა.

„ნიუპოსტთან“ საუბრისას დოდო გუგეშაშვილი ხაზგასმით ამბობს, რომ ნოდარი „პროფესიონალმა ქილერმა“ მოკლა.

ყველაფერი ტრაგედიამდე 10 თვით ადრე დაიწყო, როცა მკვლელი გუგეშაშვილთან კონტაქტზე გავიდა, გაეცნო როგორც „ზურა“ და უკრაინაში შეძენილი ქარვის ნაკეთობების თურქეთში ტრანსპორტირებაში დახმარება სთხოვა.

თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი იხსენებს, რომ პირველივე შეხვედრის შემდეგ, მკვლელმა, რომელიც მას როგორც ვეტერანი ისე გაეცნო, დოდო გუგეშაშვილთან საერთო ნაცნობების დასახელებით ნდობა მოიპოვა.

დოდო გუგეშაშვილი დარწმუნებულია, რომ დაკვეთა დედა-შვილის ერთ-

დროული მკვლელობა იყო. გამოცდილ მებრძოლს ამის თქმის საფუძველს ბევრი გარემოება აძლევს, მისი თქმით, მკვლელი მის სახლში რამდენჯერმე იმყოფებოდა, მათ შორის, მაშინაც, როცა ნოდარი სახლში სრულიად მარტო იყო, ასევე გუგეშაშვილიც პირისპირ ხშირად რჩებოდა „საქმიან პარტნიორთან“.

„ჩემი შვილი მას პირისპირ ორჯერ ჰყავდა ნანახი, მე სამჯერ მომიყვანა ავტომობილით სახლში. მკვლელმა კარგად იცოდა, რომ გვიან ღამით მივდიოდი სახლში და დიდხანს მიწევდა იგივე ლიფტთან მარტო ლოდინი, ეს ხდებოდა გვიან ღამით, მაგრამ, როგორც ჩანს, დაკვეთა იყო დედა-შვილი ერთად, ერთ დღეს მოვეკალით“, — აღნიშნა გუგეშაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ თავდასხმის დღეს დოდო გუგეშაშვილი სახლში შვილთან ერთად იყო. გუგეშაშვილის მონაყოლის მიხედვით, „ზურა“ სამზარეულოში ესაუბრებოდა, ნოდარ გუგეშაშვილს კი ამ დროს საძინებელში ეძინა.

გუგეშაშვილი ადასტურებს ინფორმაციას, რომ ის საკუთარი კავშირებით ცდილობს მკვლელზე გასვლას.

„როგორც იცით, გარკვეულ პროგრამაში ვარ და სრულად ვერ ვარ ჩართული რაღაცებში, მაგალითად, გარეთ ინფორმაციების მოძიებაში. ვცდილობ, ახალი ინფორმაციები მოვიძიო და ამის შესახებ გამოძიება საქმის კურსში ჩავაყენო“, — განმარტა თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკმა.

რაც შეეხება შეკვეთილი მკვლელობის მოტივს, დოდო გუგეშაშვილი მომხდარიდან ორი თვის თავზეც აცხადებს, რომ მომხდარი არც ბიზნესს და არც მის წარსულ საქმიანობას არ უკავშირდება. გუგეშაშვილი ამბობს, რომ არ იცის, რას შეეწირა მისი 33 წლის ვაჟი.

„მუდმივად ვათვალიერებ ჩემს ცხოვრებას, თუმცა არავითარი ვარაუდი არ მაქვს, რაიმე სახის ინფორმაცია რომ მქონდეს, უფრო გამიადვილდებოდა. როცა მიზეზი იცი, ობიექტის მოძებნა ბევრად მარტივია. სამწუხაროდ, ორ თვის თავზეც გაურკვევლობაში ვარ“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გუგეშაშვილმა.

მისი თქმით, სისხლიან თავდასხმამდე მისი ან მისი შვილის მისამართით მუქარას ან გაფრთხილებას ადგილი არ ჰქონია.

„ყველამ იცის, რომ სახლში კარს არ ვკეტავდი, ვინმეს მხრიდან, რაიმე სახის ინფორმაცია ან მინიშნება რომ მქონოდა, უფრო ფრთხილად ვიქნებოდი და კარს მაინც ჩავკეტავდი. ჩემს სახლში უამრავი ადამიანი შემოდიოდა, ვეტერანები, რომლებსაც დახმარება სჭირდებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურში არ ვმუშაობ, არასამთავრობო ორგანიზაცია მაქვს და ამ ფორმით ვცდილობ, ვეტერანებს შეძლებისდაგვარად დავეხმარო. უამრავი უპოვარი ადამიანი შემომიყვანია, დამიპურებია, ხურდითაც დავხმარებივარ, იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც მე გამაჩნია. იცით, რომ მე საცხოვრებელი სახლიც კი არ მაქვს და ქირით ვცხოვრობდი“, — თქვა მან.

დაზარალებული იხსენებს, რომ 7 თებერვალს, „ზურასთვის“ აღელვება არ შეუნიშნავს. დოდო გუგეშაშვილი ამბობს, რომ საუბრის დროს მოულოდნელად ელექტროენერგია გამოითიშა, თვითონ კი საძინებელში ქვითრების მოსაძებნად შევიდა.

ოთახიდან გამოსვლისას მკვლელი იარაღმომარჯვებული დახვდა და ხმის ამოუღებლად ესროლა. სროლის შემდეგ დაჭრილი ვიცე-პოლკოვნიკი „ზურას“ სახლიდან გაყვანას ცდილობდა და სადარბაზოში დახმარებას ითხოვდა, თუმცა, მკვლელი მას არ გაჰყვა და საძინებელში ნოდარ გუგეშაშვილი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მოკლა.

ყოფილი სამხედრო აღნიშნავს, რომ არც საგამოძიებო ორგანოს მიერ და არც ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ დაკვეთილი ფოტორობოტი არ ჰგავს მკვლელს.

„ფოტორობოტი, სამწუხაროდ, შედეგს ვერ იძლევა, რადგან თვითონ იყო ძალიან უცნაური გარეგნობის: შუბლი ყოველთვის დაფარული ჰქონდა, სულ ხელთათმანები ეკეთა, სათვალეებს ატარებდა. პროფესიონალი იყო, მაგრამ იარაღი იყო კუსტარული მაყუჩი, ამიტომ ვამბობ, რომ ასეთი იარაღი მიჯრით არ ისვრის, ამიტომაც არ გაისროლა. 11-ზე მეტი ტყვიის მასრა იქნა ამოღებული. იყო პროფესიონალი მკვლელი, რადგან მილიმეტრნახევარი იყო აცდენილი გულიდან, ჩემს შვილს კი გვერდიდან საძილე არტერია აქვს დაზიანებული“, — თქვა მან.

NEW POSTS

ვორუფცია და თაღლითობა მსოფლიოს მაღალ ეშელონებში

4. ოტო პერეს მოლინა, გვატემალა

გენერალი მოლინა ჩაუდგა სათავეში ქვეყანას 2012 წელს, ხოლო 3 წლის შემდეგ პროკურატურამ წაუყენა მას და მისი ოჯახის წევრებს კორუფციული სქემის შექმნის ბრალდება. საქმე ეხებოდა უკანონო ქმედებებს საბაჟოზე, რის გამოც ქვეყანაში უკანონოდ შემოვიდა 1500-ზე მეტი კონტეინერი კონტრაბანდით, პერესმა კი ამ საქმიანობით ხელზე მიიღო 3,6 მლნ. დოლარი.

2015 წლის სექტემბერში გვატემალის სენატმა მოუხსნა პრეზიდენტს იმუნიტეტი, რის შემდეგაც ის დააპატიმრეს. ამჟამად ის იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, სასამართლო პროცესი კი გრძელდება.

5. პაველ ლაზარენკო, უკრაინა

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა 1999 წელს ქვეყანა მას შემდეგ დატოვა, რაც მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კორუფციისა და თაღლითობის ბრალდებით. თუმცა, შტატებში, სადაც ის გადავიდა, დაბრალდა ფულის გათეთრება. 2006 წელს კალიფორნიის სასამართლომ მიუსაჯა მას 9 წელი, თუმცა, მოგვიანებით განაჩენი შერბილდა, ლაზარენკო 2012 წელს გაათავისუფლეს.

გაეროს მონაცემებით, ლაზარენკოს საქმიანობით მიყენებული ზარალი აღემატება 200 მლნ. დოლარს, თუმცა აშშ-ის სასამართლომ დაამტკიცა ბრალდებების მხოლოდ მცირე ნაწილი.

6. ეჰუდ ოლმერტი, ისრაელი

ოლმერტი ხელისუფლებაში მხოლოდ 3 წელი იყო. ამ პერიოდში პროკურატურამ 5-ჯერ გამოიძახა ის ჩვენებების მისაცემად. გამოძიება დაინტერესდა მისი როლით ბანკების პრივატიზაციაში, ასევე მას ბრალდებოდა ყოფილი თანამშრომლებისთვის მთავრობის ხარჯზე ფინანსური დახმარების გაწევა და საბაზრო ფასზე იაფად ბინის მიყიდვა.

2014 წლის მარტში ყოფილი პრემიერი სასამართლოს წინაშე წარდგა, რომელმაც მას 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. შემდეგ განაჩენი 1,5 წლამდე შემცირდა.

7. ჯოზეფ ესტრადა, ფილიპინები

ყოფილი მსახიობი და პოპულისტური პარტიის ლიდერი ჯოზეფ ესტრადა ხელმძღვანელობდა ქვეყანას 1998-2001 წლებში. 2000 წელს რამდენიმე მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ითხოვდა მათგან მილიონობით დოლარს არალეგალური სათამაშო ბიზნესის მფარველობისთვის.

პარლამენტმა აამოქმედა იმპიჩმენტის პროცედურა, ესტრადა კი ნებაყოფლობით გადადგა. რამდენინე თვეში ის წარდგა სასამართლოს წინაში და მიიღო სამუდამო პატიმრობა, თუმცა 2007 წელს ამნისტირებულ იქნა და დაბრუნდა პოლიტიკაში. ამჟამად ის არის ფილიპინების დედაქალაქ მანილას მერი. Transparency International-ის მონაცემენით, ესტრადამ 78-80 მლნ. დოლარი მიითვისა.

HTTP://COMMERSANT.GE

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 63 (ფუხიმორის იაპონური მარიფათი)

ავთანდილ ხურციძე ნიუ-იორკის სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

ნიუ-იორკის სასამართლომ ქართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე წინასწარ პატიმრობაში დატოვა. სასამართლო პროცესი სამშაბათს შედგა. დაცვის მხარე ხურციძის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ მისი არგუმენტები არ გაითვალისწინა.

შეგახსენებთ, რომ ავთანდილ ხურციძე ნიუ-იორკში, 2017 წლის წლის ივლისში, 15 ქართველთან ერთად დააკავეს, რომლებსაც ბრალად „დანაშაულებრივი სინდიკატის წევრობა“ ედებოდათ. ხურციძესთან ერთად დაკავებული იყო კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი ლევან მაყაშვილი. თუმცა მაყაშვილი მალევე გათავისუფლდა, ხოლო ხურციძეს წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

◎ წინ, საქართველოვ!

ჩვენი ჰიმნიც აჟღერდა

რუმინეთში გრძელდება ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც „ჯვაროსნებიც“ მონაწილეობენ. შეჯიბრების მესამე დღეს ტურნირზე ქართული ჰიმნიც აჟღერდა – ორჭიდის ჯამში ევროპის ჩემპიონობა 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე შოთა მიშველიძემ მოიპოვა. ორი „ოქრო“ და „ვერცხლი“ – ასეთია მისი მონაგარი. ქუთაისელმა ათლეტმა შეჯიბრება 129 კილოთი დაიწყო და მესამე ცდაზე 134 კილო აიტაცა, რამაც მხოლოდ „ვერცხლი“ მოუტანა, რადგან ბულგარელმა სტილიან გროზდევმა კილოგრამით აჯობა. ამ მოძრაობაში ბრინჯაოს მედალი 130 კილოგრამით ბულგარელ ვლადიმირ ურუმოვს ერგო.

აკვრაში მიშველიძემ სამივე ცდა გამოიყენა და 165 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა, თან ორჭიდის ჯამში ევროპის ჩემპიონობა მოიხვეჭა. აკვრაში გამარჯვებულს შვიდი კილოთი ჩამორჩა გროზდევი, ხოლო 152 კილოთი მესამე ადგილზე რუმინელი იონურ ილიე გავიდა. ამავე წონაში ცდიდა ძალებს ჩაქველი რამინ შამილიშვილი, რომელმაც აკვრაში ბოლო ცდაზე 156 კილო ვერ დაძლია, თორემ ამ მოძრაობასა და ორჭიდში ბრინჯაოს მედალს დაეუფლებოდა. საბოლოოდ იგი მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა.

62 კგ. 1.შოთა მიშველიძე (საქართველო) – 299 (134+165), 2.სტილიან გროზდევი (ბულგარეთი) – 293 (135+158), 3.იონუტ ილიე (რუმინეთი) – 283 (129+154)... 5. რამინ შამილიშვილი (საქართველო) – 278 (128+150).

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

სამშაბათის სამეგა

საერთაშორისო საფეხბურთო კალენდარმა ისე ინება, რომ სამშაბათს სარბიელზე ერთბაშად სამ ქართულ ნაკრებს მოუწია ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა. მათი ერთობლივი მონაგარი – 2 მოგება და 1 ფრე ბურთების შეფარდებით 10:3 მართლაც რომ შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ თუ ამ ლოკალური წარმატებით ეიფორიაში ჩავვარდებით, ადვილი შესაძლებელია, უნახავმა რა ნახაოსი არ იყოს, იგი დათვურ სამსახურში გადაიზარდოს და, ღმერთმა ნუ ქნას, სანანებელი გაგვიხდეს.

ჭაბუკები

საქართველო – მაკედონია 6:1

ყველაზე დიდი სიხარული გიორგი ნემსაძის მომზადებულმა 17-წლამდელთა ნაკრებმა მოგვანიჭა, რომელმაც პოლონეთში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდიდან, დიდი ალბათობით, კონტინენტური ფორუმის ფინალურ ტურნირში უნდა შეაბიჯოს.

გათამაშების დებულებიდან გამომდინარე, 8 ჯგუფის მეორეადგილოსანთაგან გადამწყვეტ ეტაპზე შესანიშნავი შვიდეული ითამაშებს და საიმისოდ, რომ მერვე ზედმეტი ჩვენ არ აღმოვჩნდეთ, ისრაელ-უნგრეთის მატჩის შედეგს უნდა დაველოდოთ.

რაც შეეხება უშუალოდ ბოლო აკორდს, უნდა ვაღიაროთ, რომ თანამემამულენი ბევრს უკვე გამოტირებული ჰყავდა, რადგან საკმარისი იყო მასპინძლებსა და უმოტივაციო ირლანდიელებს მეგობრული ზავი გაეფორმებინათ, რომ თამაშგარეთ ვრჩებოდით. საბედნიეროდ, კუნძულელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს, ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს – 1:0 და რჩეულთა საზოგადოებისკენ მწვანე შუქი აგვინთეს.

საბოლოო მდგომარეობა

ირლანდია – 9, საქართველო, პოლონეთი – 4-4, მაკედონია – 0 ქულა.

რასაკვირველია, თავკაცთან ერთად ქებას გუნდის თითოეული წევრი იმსახურებს, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ზურაბ დავითაშვილი უნდა დავაფასოთ, რომელმაც ბალკანელებს 4(!) ბურთი გაუტანა, ხოლო მთლიანად ელიტ-რაუნდი 6 გოლით დაასრულა.

ახალგაზრდები

საქართველო – დანია 2:2

მართალია, გია ცეცაძის შეგირდებს ჯგუფიდან გაღწევის ამბიცია კარგა ხანია, აღარ გააჩნიათ, მაგრამ ლიდერ და უმთავრეს ფავორიტ სკანდინავიელებთან ყველაფერი იღონეს ავტორიტეტის მოსაფრთხილებლად და ხარაიშვილ-მიქელთაძის ძალისხმევით პრესტიჟი გადაირჩინეს.

ეროვნული ნაკრები

საქართველო – ესტონეთი 2:0

გოლები: ტაბიძე, ყაზაიშვილი.

ჩვენი უბედურება ისაა, ასეთი შეზღუდული რესურსების მქონე მეტოქესთან აქამდე თანაბარი ბალანსი რომ გვქონდა – 2 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება, თანაც შარშან მტკივნეული მარცხი რომ გვაგემა – 3:0.

კარგი კი ისაა, რომ, მართალია, სრულფასოვანი რევანში ვერ ავიღეთ, მაგრამ, გადახალისებული შემადგენლობის მიუხედავად, კარი ამჯერადაც მშრალად შევინახეთ და, ზედიზედ მეორედ, ბრძოლის ბედი ჩვენს სასარგებლოდ პირველივე ტაიმში გადავწყვიტეთ.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

დელ პოტროს მეორე სამიზნე

ინდიან უელსის მასტერზის გამარჯვებული ხუან მარტინ დელ პოტრო მაიამის მასტერსზე წინსვლას განაგრძობს. 1/8-ფინალში არგენტინელმა სერბი ფილიპ კრაინოვიჩი 6:4, 6:2 დაამარცხა.

მან მიმდინარე სეზონში მეოცე და ზედიზედ მე-14 შეხვედრა მოიგო. სამხრეთამერიკელი ჩინებულ კონდიციებშია და ამ ეტაპისთვის ტურნირის მთავარი ფავორიტი გახლავთ.

მომდევნო წრეში დელ პოტრო კანადელ მილოშ რაონიჩს შეხვდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ასეც ხდება

არგენტინის ანტირეკორდი

არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა ესპანეთთან ამხანაგური მატჩის 1:6 წაგებით მისივე ანტირეკორდი გაიმეორა. სამხრეთამერიკელები ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით აქამდე ორჯერ დამარცხებულან – 1958 წელს ჩეხოსლოვაკიასთან, 2009 წელს კი – ბოლივიასთან.

მადრიდში, „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ გამართულ შეხვედრაში ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ შემტევს ლიონელ მესის, რომელიც თამაშს თვალს ტრიბუნიდან ადევნებდა, თუმცა, 74-ე წუთზე, როცა მისმა გუნდმა მეექვსე გოლი გაუშვა, ტრიბუნა დაუყოვნებლივ დატოვა.

ვერცხლის ქვეყნელებმა მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში ესპანეთთან შერცხვენამდე ოთხი დღით ადრე მანჩესტერში იტალიის ნაკრებთან სპარინგი 2:0 მოიგეს. ხორხე სამპაოლის გუნდი მუნდიალზე D ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები ხორვატეთის, ისლანდიისა და ნიგერიის ნაკრებები იქნებიან.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სტადიონებსაც ამშვენებენ

ევროპელ სტატისტიკოსებს საქმეს, აბა, რა გამოუღევთ? სხედან ეს პატიოსანი ხალხი და აწკაპუნებენ კალკულატორებს. მე თქვენ გეტყვით არ გამოსდით ეს საქმე თუ რა... აი, ამასწინათ გერმანელმა სტატისტიკოსებმა გვამცნეს, რომ კონტინენტის საფეხბურთო სტადიონებზე ქალთა დასწრება ნამეტნავად გაიზარდა და სულ მალე შეიძლება მათი რიცხვი მამაკაცებს გაუთანაბრდესო.

რა სჯობს მერე ამას?! სულ რომ ცუდი თამაში იყოს, ლამაზ ასულთა ხილვა უაზრო ლაყაფსა და დაშხოშიან გინებაზე მაინც გათქმევინებს კაცს უარს და ეს ცოტაა?...

აბა, ისაა კარგი, გასული საუკუნის 90-იან წლებში ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე აწგაუქმებული “მერანი91“-ის მატჩებზე სულ ორი გოგო რომ დადიოდა და იმათაც თამაშის მიმდინარეობისას მთელი სტადიონი ეკითხებოდა: „ცუნცულ, ამ საღამოს რას აკეთებო?!“...

როსტომ რაჭველიშვილი

თუ კაცს გამოჩერჩეტება არ უნდა და გონების დაკარგვა არ სურს...

მეწარმე სერჟ ფაგეს სახელი მთელ მსოფლიოში ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ 32 წლის ასაკში 200 ათასი დოლარი ცხოვრებაში მთავარი მიზნის მისაღწევად – მარად ახალგაზრდად დარჩენისთვის დახარჯა. ახლახან კი ახალი პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც ამტკიცებს, ჯანმრთელად და ბედნიერად ყოფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სწორი ძილი.

ფაგეს განცხადებით, თუკი დღე-ღამეში 8 საათზე ნაკლები გძინავთ, ანდა დასაძინებლად სხვადასხვა დროს წვებით, მაშინ შესამჩნევად სულელი ხდებით, მეხსიერება და ინტელექტი გიქვეითდებათ, თანაც აჩქარებულად მიემართებით ალცჰაიმერის ავადმყოფობისკენ.

თუმცა კი, მსოფლიოს წამყვან სომნოლოგთა აზრით, ყველაფერი მაინცდამაინც ასე ცალსახად არ არის. 18-დან 65 წლამდე ასაკის ადამიანთა უმრავლესობისთვის ძილის ნორმა 7-9 საათს შეადგენს, თუმცა ზოგისთვის შესაძლოა 6 საათიც იყოს, ვიღაცისთვის – 10 საათი. ამასთანავე, როცა სერჟ ფაგე ამბობს, რომ ნორმალური ძილის ოდნავი დარღვევებიც კი თავის ტვინის მუშაობაზე უარყოფითად აისახება, აბსოლუტურად მართალია, ვინაიდან ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ ორი კვირის მანძილზე ძილის ხანგრძლივობის ერთი საათით შემცირების შედეგადაც კი სხვადასხვა გენების აქტივობა იცვლება. მათ შორის იმათი, რომლებიც გულის სისხლძარღვთა დაავადებათა განვითარებაზე, ენდოკრინულ (ჰორმონალურ) დარღვევებზე და ა.შ. არიან პასუხისმგებელი. ამიტომაც, ძილის დარღვევა მართლაც იწვევს უამრავი დაავადების, მათ შორის ალცჰაიმერისა და პარკინსონის სნეულებების წარმოშობის დაჩქარებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ავადმყოფობები 20-30 წლის განმავლობაში ვითარდება და მათ ხელშემწყობ ფაქტორთა შორის ძილის გარდა ბევრი სხვაცაა.

მაშ, როგორ უნდა გვეძინოს სწორად, რათა თავის ტვინის გაახალგაზრდავება შევძლოთ? სერჟ ფაგეს ერთ-ერთი რჩევით, **ღრმა ძილით ორი საათი უნდა გეძინოთ.** რას ნიშნავს ეს? საქმე იმაშია, რომ ჩვენი ძილი ორი ფაზისგან შედგება – ნელი და სწრაფისგან. ორგანიზმის დასასვენებლად სწრაფი ძილის ფაზა ნაკლებად სასარგებლოა, ის ორგანიზმს უფრო ააქტიურებს და გაღვიძებისთვის ამზადებს. სწრაფი ძილის ფაზაში თავის ტვინი უფრო აქტიურადაც კი მუშაობს, ვიდრე მღვიძარე. სწორედ ამ ფაზაში მიმდინარეობს მეხსიერების აქტიური ჩამოყალიბება. ძილის ნელი, ტალღისებრი ფაზის დროს კი ორგანიზმის ყველაზე სრულფასოვანი აღდგენა ხდება, ქვეითდება არტერიული წნევა, იკლებს გულისცემის სიხშირე, გამომუშავდება ზრდის ჰორმონი, რომელიც ჩვენს ფიზიკურ განვითარებასა და კუნთოვანი ქსოვილის შენებაზეა პასუხისმგებელი, მიმდინარეობს ცხიმების გახლეჩა. ამასთან, თავად ნელი ძილის ფაზა სამ სტადიად იყოფა: I – ესაა ზედაპირული, რომელიც მთელი დროის 2-7 პროცენტს იკავებს; II – 45-50 პროცენტი და III – ყველაზე ღრმა და მკურნალი ძილის 15-20 პროცენტი. თუკი ძილის სტანდარტულ რვასაათიან ნორმას ავიღებთ, სწორედ ესაა ის 1,5-2 საათი, რომელთა შესახებ სერჟ ფაგე ამბობს, ხოლო თუ 8 საათზე ნაკლები გვძინავს, შესაბამისად იცვლება ყველაზე ფასეული სტადიის დროც, რომლის რიცხობრივი მახასიათებლის გამოთვლა ზემოთ მოყვანილი ცნობების გამოყენებით ყველას ადვილად შეუძლია.

და კიდევ ერთი, ინტერნეტში ხშირად შეხვდებით რჩევას: **მხნედ რომ გაიღვიძოთ, საჭიროა სწრაფი ძილის ფაზაში გაღვიძება.** ჩვენი ძილის ციკლურობის გამო, მისი სწრაფი და ნელი ფაზები ღამის მანძილზე ერთმანეთს რამდენჯერმე ენაცვლება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დილის მოახლოებასთან ერთად, სწრაფი ძილის ფაზა უფრო ხანგრძლივი ხდება და ორგანიზმი თავად ემზადება გასაღვიძებლად.

ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ძილის დარღვევების გამო ზიანდება ჩვენი იმუნიტეტიც. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ გამოუძინებლობის ყოველი საათი გრიპით დაავადების ალბათობას 10-15 პროცენტით ზრდის. მას, ვისაც 6 საათზე ნაკლები სძინავს, რესპირატორული ვირუსებით დაავადების მეტი შანსი აქვს.

„დონორი“... ბატკანი

სხვისი სისხლით საკუთარი ჯანმრთელობის გამოკეთების მცდელობებს დიდი ხნის ისტორია აქვს.

კერძოდ, ჯერ კიდევ რომაელი დიდგვაროვნები ცდილობდნენ ახალგაზრდობის დაბრუნებას მომაკვდავი გლადიატორების სისხლის სმით. მას შემდეგ კი, რაც 1623 წელს ადამიანის სისხლის მიმოქცევის სისტემა აღწერეს, მედიკოსებმა მისი გადასხმის მცდელობები დაიწყეს.

სისხლის გადასხმის პირველი აღწერილი შემთხვევა 1667 წელს მოხდა: საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ის კარის მედიკოსმა ჟან-ბატისტ დენიმ თხუთმეტი წლის მოზარდს ბატკნის სისხლის 250 გრამი გადაუსხა. პაციენტი გადარჩა. ამასთან დაკავშირებით მედიკოსები აცხადებენ, რომ ეს ამბავი ბედნიერი შემთხვევის წყალობაა, რადგან სისხლის გადასხმის მოწყობილობის არასრულფასოვნების გამო, ბიჭუნას, უბრალოდ, „დონორის“ ცოტა სისხლი ერგო. ამიტომაც იყო, რომ ლეიბ-მედიკოსის დენის შემდგომი ექსპერიმენტები ავადმყოფებისთვის ხბოებისა და ძაღლების სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით პაციენტების გარდაცვალებით მთავრდებოდა. პარიზის მეცნიერებათა აკადემიის რეაქცია ამაზე საკმაოდ ხისტი იყო: მსგავსი ექსპერიმენტები სამიდღემჩიოდ აიკრძალა. მაგრამ, აკადემიის გავლენა საფრანგეთის ფარგლებს არ სცილდებოდა, ამიტომაც 1818 წელს ინგლისში, მეანე ჯეიმს ბლანდელმა პაციენტ ქალს მეუღლის სისხლი გადაუსხა, რითაც სიკვდილს გადაარჩინა. 1825 წლიდან 1830 წლამდე ბლანდელმა ათი ტრანსფუზია ჩაატარა, რომელთაგან ხუთი პაციენტების გამოჯანმრთელებით დასრულდა. თუმცა კი დანარჩენებს ნაკლებად გაუმართლა და სწორედ ამიტომ იყო, რომ იმდროინდელი ექიმები ამ მანიპულაციას ძალიან სახიფათოდ მიიჩნევდნენ და იშვიათად ატარებდნენ.

ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ გერმანელმა ექიმმა კარლ ლანდშტაინერმა ეჭვი არ გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის გადასხმის ოპერაცია სახიფათოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დონორისა და პაციენტის სისხლი ერთმანეთთან შეუთავსებელია. 1900 წელს ლანდშტაინერმა სისხლის სამი ჯგუფი აღმოაჩინა. ორი წლის შემდეგ მისმა მოწაფეებმა შტურლიმ და დეკასტელომ მეოთხეც მიამატეს. ამ აღმოჩენისთვის კარლ ლანდშტაინერმა ნობელის პრემია მიიღო.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) ახორციელებს საქართველოს აღმოსავლეთ - დასავლეთ (E- 60) მაგისტრალის განსახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში – პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 215147874) (შემდგომში – კომპანია) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ს/კ 33.04.37.328 (ნაკვეთის წინა ნომერი 33.04.37.320) (მის: თერჯოლის რაიონი, სოფელი ნახშირღელე) მთლიანი, 12 227 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, კომპანიასთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, კომპანიას დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 19 მარტის №1-1/119 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 215147874) (შემდგომში – კომპანია) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ 33.04.37.328 (ნაკვეთის წინა ნომერი 33.04.37.320) (მის: თერჯოლის რაიონი, სოფელი ნახშირღელე) მთლიან, 12 227 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ - სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის შენახვა - გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქალაქ რუსთავში, ჯამში 2 100 აშშ დოლარის ოდენობის 21 ერთეული ყალბი 100 - დოლარიანი კუპიურა გაასაღა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

სექტემბერში ბათუმი საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს

ბათუმის სპორტის სასახლე და მის მიმდებარედ მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა, ჭადრაკის ფედერაციისა და ფიდეს ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერეს.

სამუშაო პროცესს ასევე ლატვიის ფინანსთა მინისტრი დანა რეზნიცე-ოზოლა და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი გაეცნენ.

ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელიც ორ დიდ დარბაზს მოიცავს (2500-კაციანი და 500-კაციანი). პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ყინულის არენის მშენებლობა, რომელიც ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადის მსვლელობისას დამატებით სივრცედ იქნება გამოყენებული.

მოწესრიგდება სპორტის სასახლის ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურა. დაიგება ირგვლივ არსებული გზები, რომლისთვისაც ბათუმის მერიაში უკვე მომზადებულია სატენდერო დოკუმენტაცია და გზის მოასფალტება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ბათუმში 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება და მასში მონაწილეობას 180-ზე მეტი ქვეყნის 4 000-მდე მოჭადრაკე და ოფიციალური პირი მიიღებს მონაწილეობას.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონია შეკვეთილში, „ბლექ სი არენაზე“ გაიმართება.

რას არ გაიგებ!..

• **შავი** შოკოლადი ორგანიზმს კიბოს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სახეობისგან — მელანომისგან იცავს, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1200-1000 წლებში ცენტრალური ამერიკის ინდიელები შოკოლადის ლუდს სვამდნენ, რომელსაც კაკაოს დადუღებული ნაყოფებიდან ამზადებდნენ.

• **დამსაქმებლები** თანამშრომელი ქალის აყვანისას, ცხადია, მის პროფესიულ უნარებთან ერთად, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობას არა მის გარეგნულ მიმზიდველობას, არამედ მოვლილობას აქცევენ.

• **ნემსით** ჩხვლეტით მკურნალობა (აკუპუნქტურა) მსოფლიოში თითქმის ყველგან ფასიანია, თუმცა ჰოლანდიაში ის სადაზღვევო მედიცინის სისტემაში შედის.

...ადამიანის თავის ტვინის უჯრედები 85 პროცენტით... წყლისგან შედგება.

• **2005 წელს** ცნობილი რუსი ოლიგარქის ანდრეი მელნიჩენკოს და სერბი მოდელის ალექსანდრა ნიკოლიჩის ჯვრისწერისთვის პოდმოსკოვიედან საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე მართლმადიდებლური საყდარი ნაწილ-ნაწილ ჩაიტანეს, ხოლო თავად ქორწილი, რომლის სტუმრებს უიტნი ჰიუსტონი, კრისტინა აგილერა, მამა-შვილი ხულიო და ენრიკე იგლესიასები ართობდნენ და ყველაფერი 400 მილიონი დოლარი დაჯდა.

• **ადრეული** ჭაღარა, შესაძლოა, ორგანიზმში ქრონიკული ანთებითი სნეულებებით (სიმსუქნით, ჰიპერტონიით, შაქრიანი დიაბეტით, ათეროსკლეროზით) იყოს გამოწვეული.

• **დიაგონალური** ნაკეცი ყურის ბიბილოზე ინსულტისკენ მიდრეკილებას მიანიშნებს.

• **ადამიანის** ნევროლოგიური დაავადებების დიაგნოსტირება ხელწერითაა შესაძლებელი — პარკინსონის ავადმყოფობის დროს ხელწერა წვრილი, უსწორმასწორო და გაურკვეველი ხდება, გაბნეული სკლეროზის დროს — ასოები მაღლდება და მსხვილდება, ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევისას კი ასოები გვერდულად „წვებიან“.

მაინც ბებოსთან უკეთესია!

მკვლევარებმა, რომლებმაც ბავშვების წონის ანალიზი ჩაატარეს, გამოავლინეს კანონზომიერება, რომ მიგრანტი პატარები (შეძლებული ოჯახების შვილებიც კი!) ჭარბ წონას ადგილობრივ ბავშვებთან შედარებით ნაკლებად უჩივიან.

აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი... ბებიებისგან მოწყვეტა ყოფილა, რომლებიც თურმე ცხიმიანი და არამარგებელი საჭმლის მთავარი მიმწოდებლები არიან. სწავლულთა დაკვირვებით, ბავშვებს გაცილებით რაციონალურად მშობლები კვებავენ.

ბილწსიტყვაობის ფარული „ფესვები“

კემბრიჯის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ისინი, ვინც ხშირად ბილწსიტყვაობს, იმათზე პატიოსნები არიან, ვინც ამ მხრივ, თავიანთ გამონათქვამებს მკაცრ ცენზურას უწევენ.

ამ ფენომენს მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ისინი, ვინც საჭიროდ არ მიიჩნევენ საკუთარი მეტყველების გაფილტვრას, არც გარშემო მყოფთა აზრს უშინდებიან, ამდენად უფრო გულგახსნილნი და პირდაპირნი არიან.

თუმცა ყველანი ამ აზრს არ იზიარებენ და ამბობენ, რომ ხშირი გინება სულაც არ არის გახსნილობის ნიშანი, ეს უფრო სულელი და უკულტურო ხალხის თვითდამკვიდრების ხერხია, რითაც გარშემო მყოფთა მიმართ თავიანთ ქედმაღლურ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეტნაკლებად ყველა იგინება, მაგრამ ნორმალური ადამიანი ბილწსიტყვაობას მხოლოდ პიკანტურ „დანამატად“ იყენებს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ევრიკა

— ...და როცა არქიმედე აუზიდან ამოხტა და შეჰყვირა: „ევრიკა?!“ — წაიკითხა მოსწავლემ...

— მერედა, რა არის ევრიკა? — ეკითხება მასწავლებელი.

— ევრიკა — ნიშნავს „ვიპოვე“.

— კარგი. ახლა მითხარი, რა იპოვა არქიმედემ აუზში?

მოსწავლე მცირე ხანს ჩაფიქრდა და მხიარულად წამოიძახა:

— ევრიკა! რა იპოვა და საპონი!

ცოლქმრობა

ხანდაზმულთა საზოგადოებაში სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, როგორ შეიძლება მოკლედ აღწერა, თუ რა არის ცოლქმრობა.

გამოითქვა უამრავი სხვადასხვა მოსაზრება, ბოლოს სიტყვა ერთ-ერთმა კაცმა ითხოვა, რომელიც ყველაზე სოლიდურად გამოიყურებოდა.

— ჩემი აზრით, მოკლედ შეიძლება ასე აღვწეროთ: ჯერ ლაპარაკობს ქმარი, ცოლი კი უსმენს, მერე ლაპარაკობს ცოლი — ქმარი კი უსმენს, შემდეგ ორივენი ერთად იწყებენ ლაპარაკს და მეზობლები უსმენენ.

ფაფასუა

— ჩვენი ბებია საშინლად ფაფასუაა, მშშარა! — უთხრა დედას პატარა იურიკამ.

— ეგრე რატომ ფიქრობ?

— ქუჩას როცა გადავდივართ, ყოველთვის ხელზე მწვდება ხოლმე.

მოდა

მოდის დემონსტრაციაა, მანეკენებს მეტისმეტად დეკოლტე კაბა აცვიათ.

— ასეთი რამ, როდესმე გინახავთ?

— როგორ არა, როცა ძუძუთა ბავშვი ვიყავი...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4266; ევრო - 3.0114;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4251;
100 რუბლი - 4.2447; თურქული ლირა - 0.6091;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4288;
1000 სომხური დრამი - 5.0554.

ამინდი 29 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +7,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +19
თბილისი:	ღამე +10,	დღე +16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge